

# დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): თბილისი, საქართველო, სამოქმედო გეგმის შეფასება – 2018–2020

---

მარიამ სიხარულიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი

## სარჩევი

<b>შეჯამება: თბილისი</b>	<b>2</b>
<b>I. შესავალი</b>	<b>6</b>
<b>II. ღია მმართველობის კონტექსტი თბილისში</b>	<b>7</b>
<b>III. მართვა და მრავალმხრივი პროცესი</b>	<b>12</b>
<b>IV. ვალდებულებები</b>	<b>20</b>
1. ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (“SMART MAP”)	23
2. ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა	28
3. სერვისების ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობით მათი გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა	33
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია	37
5. თბილისის მურიაში გამჭვირვალობის ხარისხის განვითარება ელექტრონული მექანიზმების მეშვეობით	41
<b>V. ზოგადი რეკომენდაციები</b>	<b>46</b>
<b>VI. მეთოდოლოგია და წყაროები</b>	<b>50</b>
<b>დანართი I. თბილისის საქმიანობის შეფასება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში</b>	<b>52</b>



## შეჯამება: თბილისი

თბილისის მეორე სამოქმედო გეგმა (ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა) უმთავრესად მიზნად ისახავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას, მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვას და თბილისის მერიაში გამჭვირვალობის გაძლიერებას. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განხორციელებული თანამონაწილეობითი პროცესი ითვალისწინებდა სამოქალაქო სექტორის აქტიურ ჩართულობას, აგრეთვე ვალდებულებების შესახებ უკუკავშირის მისაღებად თბილისის მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრების გამართვას. სამომავლოდ, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პროცესის ხელშეწყობის მიზნით თბილისის მერიას შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა, გაზარდოს OGP-ის ცნობადობა მოსახლეობასა და სამოქალაქო სექტორის იმ წარმომადგენლებში, რომლებიც ამ პროცესში პირდაპირ არ მონაწილეობენ, გააძლიეროს გამჭვირვალობის პრაქტიკადა უფრო მეტად შეუწყოს ხელი ურბანულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მოქალაქეთა ჩართულობას.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია მთავრობებისა და სამოქალაქო სექტორის ლიდერების თანამშრომლობით ისეთი სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებიც მთავრობებს უფრო გამჭვირვალეს, ინკლუზიურსა და მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულს გახდის.

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) მონიტორინგს უწევს OGP-ის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობის სამოქმედო გეგმებს მათ მიერ აღებული ვალდებულებების პირნათლად შესასრულებლად. თბილისი ამ ინიციატივას 2016 წელს შეუერთდა და მას შემდეგ 1 სამოქმედო გეგმა განახორციელა. ეს ანგარიშში თბილისის მეორე სამოქმედო გეგმას აფასებს.

### სამოქმედო გეგმის ზოგადი მიმოხილვა

თბილისის მეორე სამოქმედო გეგმა ეხმიანება საჯარო ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის და ფართომასშტაბიანი სამშენებლო პროექტების ღიაობის საკითხებს. ამ პრობლემების გადასაჭრელად თბილისის მერია გეგმავს წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების ბოლომდე მიყვანას, მათ შორის „SMART MAP“-


**ცხრილი 1. მოკლედ**

წევრი: 2016 წლიდან  
შესაფასებელი სამოქმედო გეგმა: მეორე ანგარიშის ტიპი: სამოქმედო გეგმის შეფასება ვალდებულებების რაოდენობა: 5

**სამოქმედო გეგმის შემუშავება**  
არსებობს თუ არა მრავალმხრივი ფორუმი? დიახ  
მოქალაქეთა ჩართულობის დონე: თანამშრომლობა  
OGP-ის პროცესის საწინააღმდეგო აქტივობები: არა

**სამოქმედო გეგმის დიზაინი**  
ვალდებულებების OGP-ის დირექტორების თანშესაბამისობა: 5 (100%)  
ტრანსფორმაციული ვალდებულებები: 0  
პოტენციურად ვარსკვლავური ვალდებულებები: 0

**სამოქმედო გეგმის განხორციელება**  
ვარსკვლავური ვალდებულებები: არ არის  
შესრულებული ვალდებულებები: არ არის  
ვალდებულებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გახსნა მთავრობა: არ არის  
ვალდებულება, რომელმაც გამორჩეულად გახსნა მთავრობა: არ არის



ის („ჭკვიანი რუკის“) შექმნას, მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმის დანერგვას და მოქალაქის მომსახურების ინტეგრირებული ვებპორტალის ამოქმედებას. 2 ახალი ინიციატივის მიზანი კი კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის ახალი სტრატეგიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ელექტრონული სერვისების შექმნაა.

მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი თბილისის მერიის წარმომადგენელთან ერთად თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში სამოქმედო გეგმის მომზადების, მისი შესრულების ხელშეწყობისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარედ იქნა არჩეული, რამაც წინა სამოქმედო გეგმასთან შედარებით სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერებას შეუწყო ხელი. სამუშაო ჯგუფის მიერ 6 შეხვედრის გამართვის პარალელურად, თბილისის მერიამ 12 საჯარო კონსულტაციას გაუწია ორგანიზება და მოსახლეობისგან ვალდებულებების შესახებ უკუკავშირი მიიღო.

3 დაუსრულებელ ვალდებულებაში, რომლებიც მეორე სამოქმედო გეგმაში თბილისის პირველი სამოქმედო გეგმიდან (ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში თბილისის 2017 წლის სამოქმედო გეგმა) გადავიდა, დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმის (IRM) რეკომენდაციების საფუძველზე მცირე ცვლილებები განხორციელდა. 2 ახალი ვალდებულება კი სამუშაო ჯგუფს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელმა წევრებმა შესთავაზეს.

**ცხრილი 2. აღსანიშნავი ვალდებულებები**

ვალდებულების აღწერილობა	შემდეგი ნაბიჯები	ვალდებულების სტატუსი შესრულების ეტაპის დასრულებისას
<p>1. ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (“SMART MAP”)</p>	<p>„SMART MAP“-ის დროულად შესაქმნელად თბილისის მერიას შეუძლია შეიმუშაოს შიდა მენეჯმენტის მკაფიო სისტემა, აგრეთვე გააფართოოს „SMART MAP“-ის ფოკუსი და მის ფუნქციონალში მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხი შეიტანოს. ამ პლატფორმის ცნობადობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩატარებაც.</p>	<p>შენიშვნა: შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასრულებისას.</p>

<p><b>2. ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა</b></p> <p>შეიქმნება ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმი, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, ბიუჯეტში თემატურ პრიორიტეტებს შეფასება მიანიჭონ, ხოლო თბილისის მერიას შესაძლებლობა ექნება, წარმოადგინოს ოფიციალური უკუკავშირი საბოლოო ბიუჯეტში მოქალაქეთა შეფასებების ასახვის შესახებ.</p>	<p>სამომავლოდ თბილისის მერიას შეუძლია განსაზღვროს მენეჯმენტის მკაფიო გეგმა და სერვისის მოხმარების წასახალისებლად ჩაატაროს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები. აგრეთვე შესაძლებელია დაინერგოს შესაბამისი პოლიტიკა მონაწილეობითი ბიუჯეტირების განსახორციელებლად და მოქალაქეებისგან მიღებული უკუკავშირის მიერ ბიუჯეტის დაგეგმვაზე გავლენის მოსახდენად.</p>	<p>შენიშვნა: შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასრულებისას.</p>
---	--	--

### რეკომენდაციები

IRM-ის რეკომენდაციების მიზანია შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის წინადადებების წარდგენა და ამჟამინდელი სამოქმედო გეგმის უფრო ეფექტიანი განხორციელება.

### ცხრილი 3. 5 ძირითადი რეკომენდაცია

<p>უზრუნველყოფილ იქნეს უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა და გაიზარდოს OGP-ის პროცესის მდგრადობა.</p>
<p>OGP-ის შესახებ მოსახლეობის უკეთ ინფორმირებისთვის დაიგეგმოს და განხორციელდეს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები.</p>
<p>სამუშაო ჯგუფის საქმიანობა ფორმალიზებულ იქნეს, ამასთანავე, მასში ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებიც მანამდე OGP-ის პროცესში არ მონაწილეობდნენ.</p>
<p>სამომავლოდ, ვალდებულებების დროულად შესასრულებლად მკაფიოდ განისაზღვროს და განაწილდეს ამ ვალდებულებების ფარგლებში გათვალისწინებული პასუხისმგებლობები.</p>
<p>გაიზარდოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და მასში, განსაკუთრებით კი – მნიშვნელოვან ურბანულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მოქალაქეთა ჩართულობა.</p>

## ავტორის შესახებ

**მარიამ სიხარულიძე** არის დამოუკიდებელი მკვლევარი, რომელიც მონიტორინგისა და შეფასების (M&E), მმართველობისა და განვითარების საკითხებზე მუშაობს. მას მიღებული აქვს 2 მაგისტრის ხარისხი, მათ შორის, მედიისა და კომუნიკაციების დარგში როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტიდან და განათლების, გენდერისა და საერთაშორისო განვითარების დარგში ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯიდან (UCL). მარიამი თანამშრომლობდა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისთან (UNFPA), აგრეთვე მუშაობდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრში (CRRC-საქართველო). მისი ინტერესის სფეროებს შორისაა მოსახლეობა და განვითარება, პოლიტიკის ანალიზი, განათლების მენეჯმენტი, ინფორმაციის თავისუფლება და გამჭვირვალობა, დემოკრატიული მმართველობა, გენდერი და ახალგაზრდული საკითხები.

**ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)** მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) აღნიშნული ინიციატივის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას აფასებს და საჯარო ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგს უწყობს ხელს.

## I. შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია მთავრობებისა და სამოქალაქო სექტორის ერთად მუშაობით ისეთი სამოქმედო გეგმების შექმნა, რომლებიც გაზრდის მთავრობების მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას. სამოქმედო გეგმები შეიძლება ეფუძნებოდეს არსებულ პროექტებს, ითვალისწინებდეს მიმდინარე რეფორმების ახალ აქტივობებს ან მიზნად ისახავდეს სრულიად ახალი მიმართულებით მუშაობას. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) ამ ინიციატივის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს აანალიზებს.

თბილისის OGP-ს 2016 წელს შეუერთდა. ეს ანგარიში თბილისის მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესსა და შინაარსს აანალიზებს. შეფასების ჩასატარებლად IRM-მა ითანამშრომლა მარიამ სიხარულიძესთან, რომელმაც აღნიშნული ანგარიში მოამზადა. IRM-ის მიზანია სამომავლო ვალდებულებების დაგეგმვისა და შესრულების მიზნით ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობა. IRM-ის მეთოდოლოგიის გასაცნობად იხილეთ ბმული: <https://www.opengovpartnership.org/about/independent-reporting-mechanism>.

## II. ღია მმართველობის კონტექსტი თბილისში

ამ ეტაპზე თბილისის მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტიანად ვერ მონაწილეობს. ასევე დაბალია მთავრობის ხელთ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სათანადო ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე თბილისის მერიაში კორუფციის რისკების არსებობა, რაც კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სტრატეგიის შექმნის საჭიროებაზე მიუთითებს. აღნიშნულის შედეგად, თბილისის მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში თბილისის მერიამ აიღო სათანადო სერვისების დანერგვის ვალდებულება, რომლებიც აღნიშნული პრობლემების გადაჭრას შეუწყობს ხელს და რომელთა შორისაა 2018–2020 წლებში ელექტრონული მექანიზმების, შესაბამისი სტრატეგიებისა და ღია მონაცემების პორტალის შექმნა.

თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული პუნქტი, რომლის ტერიტორიის ფართობი 502 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა – 1,171.1 ათას კაცს, რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედია.<sup>1,2</sup> 2016 წლის მონაცემებით, თბილისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 49%-ს აწარმოებს, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი საბითუმო და საცალო ვაჭრობის, უძრავი ქონების და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროებში დასაქმებული. თბილისი საქართველოს 5 თვითმმართველი ქალაქიდან ერთ-ერთია.<sup>3</sup> ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულოს სახით და აღმასრულებელი ორგანო მერიის სახით.

თბილისის მთავრობა შედგება მერისა და მერის მოადგილეებისგან, აგრეთვე საქალაქო სამსახურების უფროსებისა და თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების (გამგეობების) გამგებლებისგან. თბილისის საკრებულოს წევრები და მერი არჩევნების შედეგად 4 წლის ვადით ირჩევიან. საკრებულო მონიტორინგს უწევს მერიის საქმიანობას და პასუხისმგებელია ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის, მაგალითად, ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცებისთვის. საკრებულო შედგება 11 თემატური კომისიისგან, რომლებიც განიხილავენ მოქალაქეთა წინადადებებსა და საჩივრებს, აგრეთვე მონიტორინგს უწევენ პროექტების განხორციელებას. მერიის პასუხისმგებლობის სფეროში შედის სხვადასხვა საჯარო სერვისი, მათ შორის, სკოლამდელი განათლება, მშენებლობის ნებართვების გაცემა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პარკირება, ნარჩენების მართვა და დასუფთავება და სოციალური მომსახურება. სხვადასხვა სააგენტოს (საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ების)) გარდა, მერიაში ფუნქციონირებს 13 თემატური საქალაქო სამსახური.

თბილისი იყოფა 10 ადმინისტრაციულ ერთეულად – გამგეობად, რომლებსაც გამგებლები ხელმძღვანელობენ. გამგებლებს საკრებულოს თანხმობით მერი ნიშნავს. გამგებლები უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ისეთი საკითხები, როგორცაა გზების შეკეთება, გამწვანება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული, მათთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა.<sup>4</sup>

2014 წელს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ცენტრალურ (ქვეყნის მთავრობის) ბიუჯეტს გამოეყო. მუნიციპალური ფინანსური რესურსები მოიცავს ადგილობრივ და საშემოსავლო გადასახადებს, აგრეთვე ითვალისწინებს კაპიტალის გადაცემის

პრაქტიკას, რომლის დროსაც სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად თანხები ერთი ბიუჯეტიდან მეორეში ირიცხება.<sup>5</sup> ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი 385,4 მილიონი აშშ დოლარი იყო, 2019 წლის ბიუჯეტი კი 389,4 მილიონი აშშ დოლარია.<sup>6</sup> 2018 წელს თბილისის მერიის პირველი სამი ფინანსური პრიორიტეტი იყო საცხოვრისი და კომუნალური მომსახურება, სოციალური დაცვა და სკოლამდელი განათლება.<sup>7</sup>

ზოგადად, თბილისის მცხოვრებთა პრობლემები მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით განსხვავდება. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის „იარე ფეხით“ დირექტორის, ხათუნა გველესიანის თქმით, რომელიც ქვეითთა უფლებებისა და ურბანული განვითარების მიმართულებით მუშაობს, ყურადსაღებ საკითხებს შორისაა გამწვანება, ძველი სახლების განახლება/შეკეთება და პარკირებისთვის საჭირო ადგილების სიმწირე. IRM-ის მკვლევრის მიერ ორგანიზებული ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამოწვევებად რჩება.

### **გამჭვირვალობა და ანტიკორუფციული საქმიანობა**

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას ან დოკუმენტს, თუ ის არ არის აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად ან არ შეიცავს პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.<sup>8</sup> მოქალაქეების უფლება, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს საჯარო ინფორმაცია, უზრუნველყოფილია აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85-ე მუხლით.

2017 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, რომელთა მიზანია მაღალი დონის კორუფციის პრევენცია და სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობის ხელშეწყობა.<sup>9</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) თანახმად, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლის მხრივ ლიდერია 100-დან 58 ქულით და 180 ქვეყანას შორის 41-ე ადგილი უკავია.<sup>10</sup> მიუხედავად ამისა, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომელთაც მომავალი წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დააკვირდნენ. ამის მიზეზად პოლიტიკური მდგომარეობა, მაღალი დონის კორუფციის რისკები, სამართალდამცველთა ანგარიშვალდებულების სიმცირე და სასამართლოს სისტემაში სახელმწიფოს ჩარევა დასახელდა.<sup>11</sup> ანგარიშის მიხედვით, მაღალი დონის კორუფციასთან ერთად, თვითმმართველ ერთეულებშიც კორუფციის წინააღმდეგ არასაკმარისი პრევენციული ზომებია მიღებული.<sup>12</sup> შესაბამისად, 2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) საქართველოს მისცა რეკომენდაცია, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შეემუშავებინა და განეხორციელებინა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მუნიციპალიტეტების 2017 წლის ერთიანი ეროვნული შეფასების თანახმად, ქვეყნის მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საშუალო შედეგია 21%, თბილისის მერიისა კი –35%. შეფასდა 3 სფერო – საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და საჯარო განხილვებში მოქალაქეთა ჩართულობა და ელექტრონული მმართველობის მექანიზმები. დაბალი მაჩვენებლები აღნიშნულ სფეროებში მაღალი სტანდარტების მისაღწევად რეფორმების



განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს.<sup>13</sup> ამ აუცილებლობას ცხადყოფს აგრეთვე კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC-საქართველო) მიერ ჩატარებული ქვეყნის წარმომადგენლობითი გამოკითხვა საჯარო პოლიტიკის შესახებ, რომლის მიხედვით, თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 13% უცხადებს ნდობას ადგილობრივ ხელისუფლებას.<sup>14</sup> ამავდროულად, ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა, რომლებიც 2018 წლის ზაფხულში ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობდნენ, თბილისის მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის განმავლობაში თბილისის მერიის მუშაობა და მოქალაქეებთან კომუნიკაცია დადებითად შეაფასეს.<sup>15</sup>

## მოქალაქეთა ჩართულობა

მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. ჩვეულებისამებრ, თბილისის მცხოვრებლებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ, რის გამოც ხშირად ვერ გამოთქვამენ თავიანთ აზრს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ქალაქის ბიუჯეტი, ხეების მოჭრა, მშენებლობის ნებართვები და ინფრასტრუქტურული პროექტები.<sup>16</sup> მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად თბილისის მერიამ 2017 წელს დანერგა ელექტრონული პეტიციების პორტალი („შენი იდეა ქალაქის მერს“), რაც პირველი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ვალდებულება იყო. პორტალზე მოქალაქეებისგან სულ 7658 წინადადება შევიდა და 13 სხვადასხვა კატეგორიაში განაწილდა.<sup>17</sup> მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა ჩართულობა კვლავ პრობლემური საკითხია. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის თანახმად, საქართველოს მუნიციპალიტეტების უმეტესობა, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას არ უზრუნველყოფს.<sup>18</sup> პირველ სამოქმედო გეგმაში შედიოდა ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის ვალდებულება, თუმცა იგი დადგენილ ვადაში სრულად ვერ შესრულდა და მექანიზმი დღემდე არ ფუნქციონირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის საკრებულოში მიმდინარე ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესი საზოგადოებისთვის ღიაა, თუმცა მასში მოქალაქეთა მონაწილეობადა მათი ინტერესი დაბალია.

„პანორამა თბილისის“ პროექტისადმი საზოგადოების პროტესტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს. „პანორამა თბილისი“ არის ფართომასშტაბიანი პროექტი, რომელიც მოიცავს თბილისის მნიშვნელოვან ადგილებს, მათ შორის, ისტორიულ უბნებს. მას ახორციელებს ქართული თანაივესტირების ფონდი, რომელსაც საქართველოს მმართველი პარტიის თავმჯდომარე და ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს.<sup>19</sup> 2014 წელს თბილისის საკრებულომ, სამოქალაქო სექტორის საჩივრების მიუხედავად, მშენებლობის დაწყების მიზნით სოლოლაკის მაღლობს ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის სტატუსი მოუხსნა.<sup>20</sup> აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვები თითქმის არ გამართულა, მის განსახორციელებლად ხელისუფლების მოტივები კი მედიამ გააკრიტიკა.<sup>21 22</sup> 5000-ზე მეტმა მოქალაქემ მოაწერა ხელი „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ შექმნილ პეტიციას, საპროტესტო აქციებიც გაიმართა, მაგრამ, წინააღმდეგობების მიუხედავად, პროექტი გაგრძელდა. საფრთხე შეექმნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში ძველი თბილისის შეტანის პერსპექტივას, აგრეთვე ქალაქის არქიტექტურულ, კულტურულ და გარემოსდაცვით იერსახეს.

თბილისი OGP-ში 2016 წელს ადგილობრივ ხელისუფლებათა საპილოტე პროგრამით ჩართო და პირველი სამოქმედო გეგმა 2017 წელს განახორციელა.<sup>23</sup> თუმცა ეს

სამოქმედო გეგმა სრულად ვერ განხორციელდა, რაც უმთავრესად თბილისის მერიის ხელმძღვანელობის ცვლილებით იყო გამოწვეული.<sup>24,25</sup> დავით ნარმანიას მერობის შემდეგ, 2017 წლის არჩევნების შედეგად მერის თანამდებობა კახა კალაძემ დაიკავა. აღნიშნული ცვლილება პირველი სამოქმედო გეგმის დასრულებამდე მოხდა. პროცესი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობების გადაბარებასა და კადრების ცვლილებას, მათ შორის, იმ პირებისა, რომლებიც ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობდნენ, რის გამოც პირველი სამოქმედო გეგმა დადგენილ ვადაში ვერ განხორციელდა.<sup>26,27,28</sup> 2018 წელს თბილისის OGP-ს სამუშაო ჯგუფმა, რომლის წევრები არიან როგორც მერიის, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, თბილისის მეორე სამოქმედო გეგმა მიიღო. ამ სამოქმედო გეგმის ყველა ვალდებულება შეეხება OGP-ის საკითხებს, მათ შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას, ანგარიშვალდებულებასა და კეთილსინდისიერ მმართველობას. IRM-ის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ხუთიდან სამი ვალდებულება პირველი სამოქმედო გეგმიდან გადმოვიდა და გაგრძელდა, რადგან ისინი დროულად ვერ შესრულდა, თუმცა კვლავ რელევანტურია.<sup>29</sup>

<sup>1</sup> თბილისის რიცხვებში – 2018, ქალაქ თბილისის მერია:

<http://tbilisi.gov.ge/img/original/2018/6/12/tbilisiinfigures.pdf>

<sup>2</sup> სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2019: <https://www.geostat.ge/regions/>

<sup>3</sup> პარლამენტი თვითმმართველი ქალაქების რიცხვს ამცირებს, Civil.ge, 3 ივლისი, 2017: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30234>

<sup>4</sup> ურბანული აქტივიზმის გზამკვლევი, „იარე ფეხით“, 2019: <http://iarepekhit.org/sites/default/files/UAG-int-ver%20%281%29.pdf>

<sup>5</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის ანალიზი, საერთაშორისო პრაქტიკა (კვლევა), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED):

<http://old.isfed.ge/main/547/geo/>

<sup>6</sup> ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 და 2019 წლების ბიუჯეტები. ბიუჯეტი 2018 წელს 1,052,185.7 ლარი იყო, ხოლო 2019 წელს 1 063 101,8 ლარია, რაც დაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით: 1 აშშ დოლარი = 2,73 ლარი (2019 წლის 8 მაისი).

<sup>7</sup> თბილისის ბიუჯეტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია: <http://tbilisi.gov.ge/page/43>

<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 41: <https://emis.ge/acts/saqartvelos%20konstitucia.pdf>

<sup>9</sup> მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, მარიაკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 მარტი, 2019.

<sup>10</sup> კორუფციის აღქმის ინდექსი – 2018: საქართველო საუკეთესო ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, Agenda.ge, 29 იანვარი, 2019: <http://agenda.ge/en/news/2019/279>

<sup>11</sup> ანტიკორუფციული აქტივობებისათვის არსებული საფრთხეები, საერთაშორისო გამჭვირვალობა: [https://www.transparency.org/news/feature/weak\\_checks\\_and\\_balances\\_threaten\\_anti\\_corruption\\_efforts\\_across\\_eastern\\_eu](https://www.transparency.org/news/feature/weak_checks_and_balances_threaten_anti_corruption_efforts_across_eastern_eu)

<sup>12</sup> ანტიკორუფციული რეფორმები საქართველოში: სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეოთხე რაუნდი, OECD, 2016: <http://www.oecd.org/corruption/anti-bribery/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf>

<sup>13</sup> საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება, IDFI, CTC, MSDC, 2017: [http://www.lsgindex.org/uploadimages/adm\\_folder/LSGINDEX\\_SmallReport\\_Final.pdf](http://www.lsgindex.org/uploadimages/adm_folder/LSGINDEX_SmallReport_Final.pdf)

<sup>14</sup> საჯარო პოლიტიკის კვლევა, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2016: <https://caucasusbarometer.org/en/ti2016ge/TRLOCGVT-by-SETTYPE/>

<sup>15</sup> ფოკუსჯგუფი თბილისის OGP-ის საკონსულტაციო შეხვედრების მონაწილეებთან, თბილისი, 2019 წლის 28 მარტი.

<sup>16</sup> IRM-თბილისი, საბოლოო ანგარიში, თბილისი 2017: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi\\_Final-Report\\_2017.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Final-Report_2017.pdf)

<sup>17</sup> შენი იდეა ქალაქის მერს: <https://idea.tbilisi.gov.ge/idea-list>

<sup>18</sup> “2018 წლის თბილისის ბიუჯეტი - ოპოზიციის კრიტიკას და მოთხოვნებს მერიაში ალოგიკურს უწოდებენ“: <http://web2.rustavi2.ge/ka/news/91595>

---

<sup>19</sup> დომინიკ ცაგარა, ასეულობით მოქალაქე აპროტესტებს ივანიშვილის „პანორამა თბილისის“ პროექტს, Democracy & Freedom Watch, 29 თებერვალი, 2016: <https://dfwatch.net/hundreds-rally-against-ivanishvilis-panorama-tbilisi-project-40538>

<sup>20</sup> იუნესკო ივანიშვილის წინააღმდეგ, JAMNews, 10 ნოემბერი, 2015: <https://jam-news.net/?p=2860>

<sup>21</sup> ცირა ელისაშვილი, „პანორამა თბილისის“ პანორამული საფრთხე, ინდიგო, 26 თებერვალი, 2016: <http://indigo.com.ge/articles/environment/panorama-tbilisis-panoramuli-saprtxe>

<sup>22</sup> ეკა მაღალადაძე, „პანორამა თბილისის - პროექტი კომპლექსური შეფასების მიღმა“, ლიბერალი: <http://liberali.ge/articles/view/4009/panorama-tbilisi--proeqti-kompleqsuri-shefasebis-mighma>

<sup>23</sup> თბილისის ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩაერთვება, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 14 აპრილი, 2016: <https://idfi.ge/ge/tbilisi-to-join-open-government-partnership>

<sup>24</sup> გიორგი თოფურია, უფროსი ანალიტიკოსი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მარტი, 2019.

<sup>25</sup> დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმი (IRM): თბილისი, საქართველო, საბოლოო ანგარიში – 2017: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi\\_Final-Report\\_2017.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Final-Report_2017.pdf)

<sup>26</sup> მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, მარიკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 მარტი, 2019.

<sup>27</sup> თოფურია, 15 მარტი, 2019.

<sup>28</sup> ვლადიმერ ხასია, თბილისის მერიის ღია მმართველობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 9 მარტი, 2019.

<sup>29</sup> დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმი (IRM): თბილისი, საქართველო, საბოლოო ანგარიში – 2017: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi\\_Final-Report\\_2017.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Final-Report_2017.pdf)

### III. მართვა და მრავალმხრივი პროცესი

თბილისის მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარედ თბილისის მერიის წარმომადგენელთან ერთად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი დანიშნა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების გარდა, 2018 წელს მერიამ ადგილობრივ მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაციებიც გამართა. თუმცა მოქალაქეთა მიერ შეთავაზებული კონკრეტული წინადადებები საბოლოო სამოქმედო გეგმაში არ შესულა.

#### 3.1. მართვა

ეს ქვეთავი აღწერს OGP-ის პროცესის მართვასა და და ინსტიტუციურ კონტექსტს თბილისში.

თბილისის მერია, მისი თემატური საქალაქო სამსახურები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები პასუხისმგებელი არიან თბილისის OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისთვის (კერძოდ, სამოქალაქო სექტორი პასუხისმგებელია თბილისის მეორე სამოქმედო გეგმის მე-4 და მე-5 ვალდებულებების შესრულებისთვის). OGP-ისთვის თბილისის მერიაში ბიუჯეტი არ გამოიყოფა, აგრეთვე არ არის დაქირავებული შესაბამისი კადრი, რომელიც მხოლოდ OGP-ისთვის იმუშავებს. პასუხისმგებლობები თბილისის მერიის არსებულ თანამშრომლებსა და თემატურ საქალაქო სამსახურებს შორის ნაწილდება.

2016 წლის მაისში, OGP-ის ადგილობრივ პროგრამაში ჩართვის შედეგად, თბილისის მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, ფორმალურად დაარსდა თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო მრავალმხრივი პროცესის უზრუნველყოფა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დაბლა ამავე ქვეთავში).<sup>1</sup> 2018 წლის აპრილში, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“<sup>2</sup> შესაბამისად, თბილისის მერმა – კახა კალაძემ ხელი მოაწერა №1-156 განკარგულებას სამუშაო ჯგუფის განსაახლებლად, მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

თბილისის მერიაში სამუშაო ჯგუფის საქმიანობასა და საჯარო კონსულტაციებს კოორდინაციას უწევს OGP-ის საკონტაქტო პირი, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონტრაქტორია და არ არის მერიის თანამშრომელი. ეს, თავისმხრივ, საეჭვოს ხდის აღნიშნული თანამდებობის მდგრადობას მას შემდეგ, რაც დონორი მის დაფინანსებას შეწყვეტს. ამ ეტაპზე თითქმის ყველა ადმინისტრაციულ და საკომუნიკაციო ღონისძიებას, რომლებიც თბილისში OGP-ის პროცესის ეფექტიანად წარმართვას უწყობს ხელს, UNDP-ის კონტრაქტორი ახორციელებს.

თბილისის მერი უფლებამოსილია დანიშნოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. ნარმანიას მერობის პერიოდში (2014–2017) მერის მოადგილე – ნინო ხატისკაცი პირადად იყო ჩართული სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში.<sup>3</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელმა მერმა – კახა კალაძემ ვიცე-მერი – ირაკლი ხმაღამე ფორმალურად სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ დანიშნა, ეს თანამდებობა შემდეგ დაიკავა გიორგი კიკნაძემ, რომელიც თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსია. კიკნაძემ აღნიშნა, რომ მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად ხმაღამე ფლობს სრულ ინფორმაციას სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ, თუმცა მისი პირადი მონაწილეობა და რამდენიმე სხდომაზე დასწრება ხაზს გაუსვამდა OGP-ის მიმართ მაღალი დონის პოლიტიკურ ინტერესსა და პასუხისმგებლობას.<sup>4</sup>

2017 წლის ოქტომბერში თბილისის ახალ მერად კახა კალაძის არჩევის შემდეგ OGP-სთან დაკავშირებული ღონისძიებები 2 თვით შეჩერდა.<sup>5</sup> კალაძემ კაბინეტი პირველი სამოქმედო გეგმის დასრულებამდე დაიკავა. ამან გამოიწვია ამ სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის პასუხისმგებელ პირთა ცვლილება, რის გამოც სამოქმედო გეგმა სრულად ვერ შესრულდა.<sup>678</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლის აზრით, ის, რომ OGP-ის ზოგიერთი ვალდებულება ვერ შესრულდა, უკავშირდება ხელმძღვანელობის ცვლილების კომპლექსურ პროცესს და დროს, რომელიც ახალ ხელმძღვანელობას OGP-ის პროცესის ბოლომდე გასაცნობად დასჭირდა.<sup>9</sup>

### 3.2. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განხორციელებული მრავალმხრივი პროცესი

2017 წელს OGP-მ მიიღო ჩართულობისა და თანამონაწილეობის სტანდარტები, რომელთა მიზანია OGP-ის პროცესის ყველა ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა. OGP-ის წევრმა ყველა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს ეს სტანდარტები, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში თანამონაწილეობის ხარისხის გაზრდას.

იმისთვის, რომ OGP-ის წევრმა ქვეყნებმა OGP-ის პროცესის შესაბამისად იმოქმედონ, OGP-ის მმართველობის შესახებ მუხლები აწესებს თანამონაწილეობის მოთხოვნებს, რომლებიც სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ამ ქვეყნებმა უნდა დააკმაყოფილონ. თბილისის OGP-ის პროცესის წინააღმდეგ არ უმოქმედია.<sup>10</sup>

იმის მიმოხილვა, თუ რამდენად იცავდა თბილისის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ჩართულობისა და თანამონაწილეობის სტანდარტებს, იხილეთ დანართ I-ში.

#### ცხრილი 4. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე

IRM-მა მოქალაქეთა ჩართულობის საერთაშორისო ასოციაციის (IAP2) მოქალაქეთა ჩართულობის სკალა მიიღო და იგი OGP-ის პროცესს მიუსადაგა.<sup>11</sup> ეს სკალა სამოქმედო გეგმის შინაარსზე გავლენის მოსახდენად მოქალაქეთა ჩართულობის პოტენციურ დონესაჩვენებს. OGP-ის სულისკვეთების მიხედვით, ქვეყანა უნდა ეცადოს, რომ „თანამშრომლობის“ დონეს მიაღწიოს.

მოქალაქეთა ჩართულობის დონე		სამოქმედო გეგმის შემუშავებისას
გამლიერება	მთავრობამ გადაწყვეტილების მიღების უფლება საზოგადოების წევრებს გადასცა.	
თანამშრომლობა	გაიმართა განმეორებითი დიალოგი და საზოგადოებამ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა.	✓
ჩართულობა	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა უკუკავშირი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გაითვალისწინა მისი მოსაზრებები.	
კონსულტაცია	საზოგადოებას მიეცა მოსაზრებების წარდგენის საშუალება.	
ინფორმირება	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესახებ.	
არანაირი კონსულტაცია	კონსულტაცია არ გამართულა.	

### მრავალმხრივი ფორუმი

2016 წელს თბილისის მერიამ დააარსა მრავალმხრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იურიდიულად დარეგულირებული ორგანოა და რომლის მოვალეობაში OGP-ის ვალდებულებების მონიტორინგი და შესრულება შედის.<sup>12</sup> თბილისის მერიის ადმინისტრაციამ, რომლის უფროსიც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეა, თბილისის მეორე სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად საჯარო კონსულტაციებსა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს გაუწია ორგანიზება. თბილისის მერი ნიშნავს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს, რომლის საქმიანობა მისი ოფიციალური ბრძანებულებით განისაზღვრება. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია თბილისის OGP-ის ვებგვერდზე ([ogp.tbilisi.gov.ge](http://ogp.tbilisi.gov.ge)), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის წევრების, ვალდებულებების, შეხვედრების სიხშირისა და სხვა დეტალების შესახებ. ვებგვერდზე სიახლეებიც ქვეყნდება, თუმცა შეფასების დროს ბოლო ორ სიახლეს შორის (2018 წლის სექტემბერი და 2019 წლის აპრილი) 6-თვიანი შუალედი იყო. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები იმართება „საჭიროებისამებრ“, კონკრეტული ინტერვალების გარეშე, თუმცა მის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება, დააყენოს განსახილველი საკითხი და სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მოიწვიოს.<sup>13</sup> 2018 წლის სექტემბერში მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდეგ სამუშაო ჯგუფი მეორედ 2019 წლის მარტში შეიკრიბა. შეხვედრაზე განხილულ იქნა სამოქმედო გეგმის წინსვლისა და თვითშეფასებისა და მონიტორინგის ჩარჩოები. სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, შეხვედრები უფრო რეგულარულად გამართათ, რათა OGP-ის პროცესი სისტემატური და თანმიმდევრული ყოფილიყო.<sup>14</sup>

სამუშაო ჯგუფს ჰყავს 24 წევრი, რომელთაგან 12 თბილისის მერიის წარმომადგენელია, ხოლო 12 – სამოქალაქო სექტორისა (ქალებისა და მამაკაცების შეფარდებაა დაახლოებით 40/60).<sup>15</sup> 2018 წლის სექტემბერში სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარედ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა წარადგინეს ნათია კალანდარიშვილის კანდიდატურა,

რომელიც არქიტექტურული არასამთავრობო ორგანიზაციის – თბილისის არქიტექტურის ბიენალეს თანადამფუძნებელია.<sup>16</sup> მისი დანიშვნის შემდეგ სამუშაო ჯგუფის საქმიანობა პირველად წარმართა თანათავმჯდომარეობის პრინციპით. მასში, მთავრობის წარმომადგენლის გარდა, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელიც მონაწილეობდა. სამოქალაქო სექტორი აგრეთვე უფლებამოსილია სამუშაო ჯგუფს ახალი წევრები შესთავაზოს. 2019 წლის მარტის შეხვედრაზე კალანდარიშვილი გამოვიდა წინადადებით, სამუშაო ჯგუფში ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი შეეყვანათ, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემატიკაზე მუშაობდა. სამუშაო ჯგუფმა ეს წინადადება მიიღო.<sup>17</sup>

სამუშაო ჯგუფის წევრები არიან ისეთი ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორცაა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ (TI Georgia), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი (CCE), დემოკრატიული მმართველობის და ინოვაციების ინსტიტუტი (IDGI), საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ - რომელიც ხელს უწყობს თბილისის მერიის მონაწილეობას OGP პროცესში. გიორგი კიკნაძის თქმით, წინა სამუშაო ჯგუფის წევრები ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობისთვის ავტომატურად მიიწვიეს.<sup>18</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წარმომადგენლის აზრით, OGP-ის პროცესში ძირითადად იგივე ორგანიზაციები მონაწილეობენ, ხოლო ახალი ორგანიზაციების ინტერესი დაბალია.<sup>19</sup> ურბანულ თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების (მაგალითად, „იარე ფეხით“ და „ურბანული ლაბორატორია“) წარმომადგენლებს OGP-ის შესახებ ინფორმაცია არასოდეს მიუღიათ, რაც მიუთითებს პლატფორმის დაბალ ცნობადობაზე იმ ორგანიზაციებში, რომლებიც მასში არ მონაწილეობენ.

სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის 2 გზა არსებობს: 1) თბილისის მერია თვითონ უკავშირდება წევრობის პოტენციურ კანდიდატებს; 2) არსებული წევრები წარადგენენ ახალ კანდიდატებს. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფის წევრობის მსურველ არცერთ ორგანიზაციას წევრობაზე უარი არ მიუღია, უფრო მიზანშეწონილია, გამოცხადდეს ღია კონკურსი მკაფიო მოთხოვნებით, რათა პროცესში ჩასართავად სამოქალაქო სექტორის მრავალფეროვანი სპექტრი იქნეს წარმოდგენილი.

### **სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართულობა და მონაწილეობა**

თბილისის მერიამ თბილისის მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა 2 გზით უზრუნველყო – თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისა და საჯარო კონსულტაციების ორგანიზებით. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები 2018 წლის ზაფხულში თბილისის მერიაში გაიმართა. მათი ოქმები და დღის წესრიგები განთავსებულია თბილისის OGP-ის ვებგვერდზე: [ogp.tbilisi.gov.ge](http://ogp.tbilisi.gov.ge). თბილისის მერიის ადმინისტრაცია სამუშაო ჯგუფის წევრებს ელექტრონული ფოსტით წინასწარ უგზავნიდა შეხვედრის განრიგს და შესაბამის დოკუმენტაციას. სულ გაიმართა სამუშაო ჯგუფის 6 შეხვედრა და 12 საჯარო კონსულტაცია, რომლებშიც მონაწილეობამიიღოდაახლოებით 300-მა მოქალაქემ, მათ შორის, სტუდენტებმა, ახალგაზრდებმა, კერძო სექტორისა და ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, გენდერული და ეთნიკური საკითხებით დაინტერესებულმა მოქალაქეებმა და ადგილობრივი რეფორმების შედეგად თბილისისთვის ახლად შემოერთებული ტერიტორიების მოსახლეობამ.<sup>20</sup>

## სამუშაო ჯგუფის შეხვედრები

სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის შემდეგ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს 3 კვირის განმავლობაში შეეძლოთ ახალი ვალდებულებების, აგრეთვე საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობისთვის კანდიდატების წარდგენა.<sup>21</sup> მიუხედავად ამისა, შემდეგი შეხვედრისთვის მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტმა „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ წარადგინა წინადადება თანამონაწილეობის საფუძველზე კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ. დისკუსიების შედეგად სამუშაო ჯგუფმა ერთხმად დაამტკიცა ეს წინადადება და სამოქმედო გეგმაში მეოთხე ვალდებულების სახით შეიტანა. ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF) წარმომადგენელმა შემდგომ წერილობით წამოაყენა 2 წინადადება, როგორც პოტენციური ვალდებულებები, თუმცა ისინი სამოქმედო გეგმაში არ ასახულა. OSGF-ის წარმომადგენელმა IRM-ის მკვლევართან ინტერვიუში განაცხადა, რომ თბილისის მერიას არ დაუსახელებია კონკრეტული მიზეზი, რომლის გამოც მისი წინადადებები საბოლოო სამოქმედო გეგმაში არ აისახა. მეორე მხრივ, თბილისის მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინადადებების ავტორებს შესაბამისი ადვოკატირება არ გაუწევიათ და მათ განსახილველად გაიმართა მხოლოდ 1 შეხვედრა, რომელსაც კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.<sup>22</sup> OSGF-ის წინადადებები ითვალისწინებდა შემდეგს: 1) სოციალური საცხოვრისის რეფორმებს უსახლკართო საჭიროებებზე მოსარგებად; 2) სამშენებლო პროექტებში მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდას. OSGF-ის წარმომადგენელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა საკმარისად ამბიციური არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა ვალდებულების შესახებ წინადადება წერილობით გაუზიარა თბილისის მერიაში მოქმედ OGP-ის საკონტაქტო პირს, რომელმაც, თავის მხრივ, დოკუმენტი სამუშაო ჯგუფის წევრებს მათგან უკუკავშირის მისაღებად გაუზიარა. მოგვიანებით, განხილვის საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა IDFI-ს შეთავაზება მეხუთე ვალდებულების სახით მიიღო. ამაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მერიამ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ წევრებს სამუშაო ჯგუფის ფორმატში საშუალება მისცა, შეხვედრებზე წარედგინათ და განეხილათ სხვადასხვა წინადადება. აღნიშნულის შედეგად თბილისის მეორე სამოქმედო გეგმაში შევიდა USAID GGI-სა და IDFI-ს მიერ შეთავაზებული ვალდებულებები, რომლებიც კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავებას და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ღია მონაცემების პორტალის შექმნას ითვალისწინებს. პირველი სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, USAID GGI და IDFI ამ ვალდებულებებს თბილისის მერიასთან ერთად შეასრულებენ.

სამუშაო ჯგუფმა აგრეთვე განიხილა პირველი სამოქმედო გეგმის დაუსრულებელი ვალდებულებების მეორე სამოქმედო გეგმაში გადატანის საკითხი. თბილისის მერიამ სამუშაო ჯგუფის წევრებს შესთავაზა, ეს ვალდებულებები ცვლილებებით შესულიყო ახალ სამოქმედო გეგმაში, რომელიც ინსტიტუციური შესაძლებლობების ადეკვატური იქნებოდა.<sup>23</sup>

## საჯარო კონსულტაციები

საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ვრცელდებოდა თბილისის OGP-ის ვებგვერდისა და გამგეობების ქსელების მეშვეობით, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მათში მონაწილეობისთვის იწვევდნენ. თბილისის მერიამ საჯარო



კონსულტაციები OGP-ის შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად გამოიყენა. აგრეთვე ჩატარდა პროექტის „შენი იდეა ქალაქის მერს“ პრეზენტაციები და მოსახლეობას ახალი სამოქმედო გეგმის შესახებ აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა. მოსახლეობის ზოგიერთი კომენტარი უკვე ასახული იყო სამოქმედო გეგმაში, მაგალითად, კომენტარი „SMART MAP“-ისთვის გამწვანებისა და რეკრეაციული ზონების შესახებ ინფორმაციის დამატების თაობაზე. დაისვა ელექტრონული სერვისების იურიდიული ჩარჩოებისა და სანდოობის საკითხიც.<sup>24</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობის კომენტარები OGP-ისთვის რელევანტური არ იყო, რაც შეხვედრის მიზნებსა და, ზოგადად, OGP-ზე მოქალაქეთა არასწორ წარმოდგენაზე მიუთითებს. OGP-ის საკონტაქტო პირმა თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფს წარუდგინა საჯარო კონსულტაციების შედეგები, რომლებიც ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებას, ტრანსპორტს და თბილისის მერიამში სერვისების მიწოდების ერთიანი სისტემის შექმნას ეხებოდა. მოსახლეობის ინიციატივები სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ვალდებულების სახით არ შესულა. ფოკუსჯგუფის შედეგებმაც ცხადყო, რომ მონაწილეებს მკაფიოდ არ ჰქონდათ გააზრებული შეხვედრის მიზნები და OGP-ის დანიშნულება, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ძირითადად სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებს განიხილავდნენ.<sup>25</sup> მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჯარო კონსულტაციებს შემდგომი კომუნიკაცია არ მოჰყოლია.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორის 2 წინადადება სამოქმედო გეგმაში არ აისახა, მოქალაქეთა ჩართულობის დონე ფასდება, როგორც „თანამშრომლობითი“, რადგან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მოეხდინათ პრობლემების იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად კონკრეტული ღონისძიებები შეეთავაზებინათ. მათ მიერ შეთავაზებული პროექტების დისკუსიების მეშვეობით განხილვის შემდეგ სამუშაო ჯგუფი წყვეტდა, ვალდებულებები სამოქმედო გეგმაში აესახა თუ არაეახა. თბილისის მერიამ აგრეთვე გაითვალისწინა IRM-ის რეკომენდაცია, გაგრძელებულიყო 3 დაუსრულებელი ვალდებულება, რომლებიც შესაბამისი ცვლილებებით შევიდა ახალ სამოქმედო გეგმაში. ცვლილებები განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეძლებდა თბილისის მერია მათ დადგენილ ვადებში განხორციელებას.

## რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის შემუშავებისას თანამონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად

სამოქმედო გეგმის შემუშავებისას თბილისმა წარმატებით შეძლო როგორც მრავალმხრივი ფორუმის მართვა, ისე შიდა კომუნიკაციების და საჯარო კონსულტაციების ორგანიზება. ამას ადასტურებს თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფის 6 შეხვედრა, რომლებიც კონკრეტული ვალდებულებების განხილვას და საბოლოო სამოქმედო გეგმის შემუშავებას დაეთმო, აგრეთვე 12 საჯარო კონსულტაცია, რომელთა დროსაც 300-ზე მეტ მოქალაქეს ჰქონდა შესაძლებლობა, თბილისის მერიისთვის ვალდებულებების შესახებ უკუკავშირი მიეწოდებინა. თანამონაწილეობის პროცესის გაძლიერებას ხელი შეუწყო სამოქმედო გეგმაში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ვალდებულებების ასახვამ და მათი თბილისის მერიასთან პარტნიორობით შესრულებიდან გამომდინარე ერთობლივმა პასუხისმგებლობამ.

პროცესის გასაუმჯობესებლად თბილისს შეუძლია იმუშაოს შემდეგი მიმართულებებით:

- უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა და OGP-ის მიმართ პასუხისმგებლობა;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების სისტემატურად გამართვა;
- სამოქალაქო სექტორსა და საზოგადოებასთან ურთიერთობა და მათი ცნობიერების ამაღლება როგორც სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ისე, ზოგადად, OGP-ის შესახებ;
- სამოქმედო გეგმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე დაინტერესებულ პირებთან მკაფიო კომუნიკაცია და მათგან უკუკავშირის მიღება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, თბილისის მერიამ გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობისა და დაინტერესების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობა მიიღოს თბილისის მერის მოადგილემ მაინც (თუ ეს თავად მერმა ვერ შეძლო).
- გამოცხადდეს ღია კონკურსი და წარმართოს გამჭვირვალე პროცესი სამუშაო ჯგუფში ახალი წევრების მისაღებად, რათა იგი დივერსიფიცირებულ იქნეს და დაინტერესებულ პირებს სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა მიეცეთ.
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრები სისტემატურად, 4 თვეში ერთხელ მაინც გაიმართოს, რათა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი დროულად განხორციელდეს. ამჟამად შესაბამის განკარგულებაში სამუშაო ჯგუფის შეხვედრების გამართვის სიხშირესთან დაკავშირებით აღნიშნულია „საჭიროებისამებრ“. ამან შეიძლება სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სამუშაო ჯგუფის არარეგულარულად ან/და იშვიათად შეკრება გამოიწვიოს.
- თბილისის მერიამ გააძლიეროს ღონისძიებები როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, ისე ცალკეული ვალდებულებებისა და, ზოგადად, OGP-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ეს შეიძლება განხორციელდეს საინფორმაციო ბროშურების დაბეჭდვით და თბილისის მერიაში მოქალაქეებისთვის დარბევით. აგრეთვე შესაძლებელია OGP-ის ფარგლებში ჩატარდეს პრეზენტაციები და სხვა ღონისძიებები (როგორც ეს მოხდა პროექტის „შენი იდეა ქალაქის მერს“ შემთხვევაში). საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტი შეიძლება აგრეთვე გაძლიერდეს საჯარო კონსულტაციების დროს. ეს დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს.
- თბილისის მერიამ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს მიაწოდოს დასაბუთებული უკუკავშირი მათ მიერ შეთავაზებული წინადადებების სამოქმედო გეგმაში ასახვის ან არასახვის შესახებ, რათა თანამონაწილეობის პროცესი გამართული იყოს და თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ფაქტები, როგორც იყო ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF) შემთხვევაში.

<sup>1</sup> ვლადიმერ ხასია, თბილისის მერიის ღია მმართველობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 9 მარტი, 2019.

<sup>2</sup> იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41>

<sup>3</sup> ხასია, 9 მარტი, 2019.

<sup>4</sup> გიორგი კვიციანი, თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 18 მარტი, 2019.

---

<sup>5</sup> გიორგი თოფურია, უფროსი ანალიტიკოსი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მარტი, 2019.

<sup>6</sup> მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, მარიკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GCI) საქართველოში, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 მარტი, 2019.

<sup>7</sup> თოფურია, 15 მარტი, 2019.

<sup>8</sup> ხასია, 9 მარტი, 2019.

<sup>9</sup> თოფურია, 15 მარტი, 2019.

<sup>10</sup> პროცესის წინააღმდეგ მოქმედება –1) მთავრობამ ვერ უზრუნველყო სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მოქალაქეთა „ჩართულობა“ ან მისი განხორციელების პროცესში მათი „ინფორმირება“; 2) მთავრობამ ვერ შეძლო IRM-ის მითითებების შესაბამისად ინფორმაციის შეგროვება, გამოქვეყნება და დაარქივება OGP-ის ადგილობრივ ვებგვერდზე.

<sup>11</sup> მოქალაქეთა ჩართულობის საერთაშორისო ასოციაციის (IAP2) მოქალაქეთა ჩართულობის სკალა, IAP2, 2014: [http://c.yimcdn.com/sites/www.iap2.org/resource/resmgr/foundations\\_course/IAP2\\_P2\\_Spectrum\\_FINAL.pdf](http://c.yimcdn.com/sites/www.iap2.org/resource/resmgr/foundations_course/IAP2_P2_Spectrum_FINAL.pdf)

<sup>12</sup> OGP-ის იურიდიული დოკუმენტი: [http://ogp.tbilisi.gov.ge/img/original/2016/11/8/OGP\\_Order\(english\).pdf](http://ogp.tbilisi.gov.ge/img/original/2016/11/8/OGP_Order(english).pdf)

<sup>13</sup> ხასია, 9 მარტი, 2019.

<sup>14</sup> თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის მერია, 29 მარტი, 2019.

<sup>15</sup> თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფი: <http://ogp.tbilisi.gov.ge/page/3128?lang=ge>

<sup>16</sup> ნათია კალანდარიშვილი, თბილისის არქიტექტურის ბიენალეს თანადამფუძნებელი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 12 მარტი, 2019.

<sup>17</sup> თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, 29 მარტი, 2019.

<sup>18</sup> კიკნაძე, 18 მარტი, 2019.

<sup>19</sup> თოფურია, 15 მარტი, 2019.

<sup>20</sup> საჯარო კონსულტაციების ოქმები: <http://ogp.tbilisi.gov.ge/page/3248?lang=ge>

<sup>21</sup> საჯარო კონსულტაციების ოქმი: <http://ogp.tbilisi.gov.ge/page/3155>

<sup>22</sup> ხასია, 9 მარტი, 2019.

<sup>23</sup> თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, 24 აგვისტო, 2018: <http://ogp.tbilisi.gov.ge/page/3155>

<sup>24</sup> საჯარო კონსულტაციების ოქმები, 6–8 სექტემბერი, 2018.

<sup>25</sup> ფოკუსჯგუფი საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან, 28 მარტი, 2019.

## IV. ვალდებულებები

OGP-ის მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან ვალდებულებები ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღონ. მთავრობები OGP-ის სამოქმედო გეგმებზე მუშაობას იწყებენ ღია მმართველობის სფეროში არსებული ძალისხმევის გაზიარებით, მათ შორის, სხვადასხვა სტრატეგიითა და მიმდინარე პროექტებით.

ვალდებულებები უნდა ესადაგებოდეს და ეხმიანებოდეს კონკრეტულ ქვეყანაში ან თვითმმართველ ერთეულში არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებს. ვალდებულებები უნდა შეესაბამებოდეს აგრეთვე OGP-ის ღირებულებებს, რომლებიც აღნიშნულია OGP-ის მმართველობის შესახებ მუხლებში და ღია მმართველობის შესახებ დეკლარაციაში, რომლებსაც OGP-ის წევრი ყველა ქვეყანა აწერს ხელს.<sup>1</sup> IRM-ის მიერ გამოყენებული ინდიკატორები და მეთოდი იხილეთ IRM-ის პროცედურულ სახელმძღვანელოში.<sup>2</sup> IRM-ის მიერ გამოყენებული მთავარი ინდიკატორების მიმოხილვის ნახვა შეგიძლიათ დაბლა:

- **შეფასებადობა:**
  - არ არის საკმარისად კონკრეტული, რომ შეფასდეს: არის თუ არა ვალდებულების ტექსტში ვალდებულების მიზნები და შეთავაზებული ღონისძიებები სათანადოდ მკაფიო და კონკრეტული, რათა მათი განხორციელება ობიექტურად შეფასდეს?
  - საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს: არის თუ არა ვალდებულების ტექსტში ვალდებულების მიზნები და შეთავაზებული ღონისძიებები სათანადოდ მკაფიო და კონკრეტული, რათა მათი განხორციელება ობიექტურად შეფასდეს?
- **შესაბამისობა:** ეს ცვლადი აფასებს ვალდებულების OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობას. ვალდებულების ტექსტზე დაყრდნობით, შესაბამისობის დასადგენად კვლევა ხელმძღვანელობს შემდეგი კითხვებით:
  - **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:** გახდის თუ არა მთავრობა მეტ ინფორმაციას მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომს ან გაზრდის თუ არა საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციის ხარისხს?
  - **მოქალაქეთა ჩართულობა:** შექმნის ან გააუმჯობესებს თუ არა მთავრობა მოქალაქეთა შესაძლებლობებს, რომ მათ უკეთ შეძლონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ?
  - **ანგარიშვალდებულება:** შექმნის ან გააუმჯობესებს თუ არა მთავრობა გადაწყვეტილების მიმღები პირების ანგარიშვალდებულებას და საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას?
  - **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის:** გამოიყენება თუ არა ტექნოლოგიური ინოვაციები ზემოაღნიშნული OGP-ის 3 ღირებულებიდან ერთ-ერთისთვის, რათა ხელი შეეწყოს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას?
- **პოტენციური შედეგი:** ეს ცვლადი აფასებს სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულების შესაძლო გავლენას. IRM-ის მკვლევარი გამოიყენებს სამოქმედო გეგმის ტექსტს, რათა:
  - გამოავლინოს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან გარემოსდაცვითი პრობლემა;
  - დაადგინოს სამოქმედო გეგმის დაწყებისას არსებული მდგომარეობა; და
  - განსაზღვროს, მოახდენს თუ არა ვალდებულების შესრულება გავლენას აღნიშნულ პრობლემაზე.

- **შესრულება:** ეს ცვლადი აფასებს ვალდებულების წინსვლასა და შესრულებას. ცვლადი ფასდება სამოქმედო გეგმის დასრულებისას, IRM-ის განხორციელების ანგარიშში.
- **გახსნა ან მთავრობა?:** ეს ცვლადი ცდილობს გასცდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს და გააანალიზოს, ვალდებულების შესრულების შემდეგ როგორ შეიცვალა OGP-ის ღირებულებების მიმართ მთავრობის პრაქტიკა. ცვლადი ფასდება სამოქმედო გეგმის დასრულებისას, IRM-ის განხორციელების ანგარიშში.

### რომელი შეიძლება იყოს პოტენციურად „ვარსკვლავური ვალდებულება“?

პოტენციურად „ვარსკვლავურ ვალდებულებას“ მეტი აზროვნება და განხორციელების პოტენციალი აქვს. კარგია ის ვალდებულება, რომელიც მკაფიოდ აღწერს:

1. **პრობლემა:** რა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან გარემოსდაცვითი პრობლემა დგას? (ადმინისტრაციული პრობლემის განხილვის ნაცვლად) (მაგალითად, „სოციალური დახმარებისთვის განსაზღვრული ფინანსების არაეფექტიანი გამოყენება“ უფრო მისაღებია, ვიდრე „ვებგვერდის არარსებობა“.).
2. **არსებულ მდგომარეობას:** სამოქმედო გეგმის დაწყებისას პოლიტიკის რა პრობლემა გამოიკვეთა? (მაგალითად, „სასამართლოში არსებული კორუფციის შესახებ საჩივრების 26%-ის განხილვა ამჟამად არ მიმდინარეობს.“).
3. **ცვლილებას:** რომელია ვალდებულების შესრულების შედეგად მისაღწევი სასურველი ცვლილება? (მაგალითად, „გაორმაგდეს დაკმაყოფილებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რაოდენობა“ უფრო ძლიერი მიზანია, ვიდრე „პასუხისთვის ოქმის გამოქვეყნება“.).

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, თბილისის სამოქმედო გეგმა პოტენციურად „ვარსკვლავურ ვალდებულებებს“ არ შეიცავს.

### ვარსკვლავური ვალდებულება

ერთ-ერთ ინდიკატორს – „ვარსკვლავურ ვალდებულებას“ (⚡) – სპეციალური განმარტება სჭირდება, რადგან ის მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, OGP-ის მონაწილე ქვეყნებს კი სტიმულს აძლევს, შეეჯიბრონ ერთმანეთს. „ვარსკვლავური ვალდებულება“ OGP-ის სამაგალითო ვალდებულებას ნიშნავს. ვარსკვლავის მისაღებად ვალდებულებამ რამდენიმე კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს:

- პოტენციური ვარსკვლავი: ვალდებულება შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს, უნდა ჰქონდეს კავშირი OGP-ის ღირებულებებთან და მისი პოტენციური შედეგი „ტრანსფორმაციული“ უნდა იყოს.
- მთავრობამ ვალდებულება სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა შეასრულოს და იგი უნდა შეფასდეს, როგორც „არსებითად“ ან „სრულად“ შესრულებული.

ეს ინდიკატორი ფასდება სამოქმედო გეგმის დასრულებისას, IRM-ის შესრულების ანგარიშში.

### ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა

სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებებია: ელექტრონული პორტალების მეშვეობით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმების შექმნა, ელექტრონული პლატფორმების შექმნით საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, თბილისის მერიის ღია და გამჭვირვალე მმართველობა. სამოქმედო გეგმა შეიცავს 3 ძველ ვალდებულებას, რომლებიც IRM-ის რეკომენდაციითა და თბილისის OGP-ის სამუშაო ჯგუფის

განხილვების შედეგად 2017 წლის სამოქმედო გეგმიდან ცვლილებებით გადავიდა ახალ სამოქმედო გეგმაში.<sup>3</sup> ეს ვალდებულებებია:

- ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (“SMART MAP”).
- ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა.
- სერვისების ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობით მათი გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა.

2 ახალი ვალდებულება შეიმუშავეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტმა „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI). ეს ვალდებულებებია:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია.
- თბილისის მერიაში გამჭვირვალობის ხარისხის განვითარება ელექტრონული მექანიზმების მეშვეობით.

---

<sup>1</sup> ღია მმართველობის პარტნიორობა: მმართველობის შესახებ მუხლები, OGP, ივნისი, 2012 (განახლდა 2014 წლის მარტსა და 2015 წლის აპრილში):

[https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/attachments/OGP\\_Articles-Gov\\_Apr-21-2015.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/attachments/OGP_Articles-Gov_Apr-21-2015.pdf)

<sup>2</sup> IRM-ის პროცედურული სახელმძღვანელო, OGP: <https://www.opengovpartnership.org/documents/irm-procedures-manual>

<sup>3</sup> დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): თბილისი, საქართველო, საბოლოო ანგარიში – 2017: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi\\_Final-Report\\_2017.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Final-Report_2017.pdf)

# 1. ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (“SMART MAP”)

## ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

„საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (Smart map) ელ-პორტალი შეიცავს და საფუძვლად იყენებს თბილისის ინტერაქტიულ რუკას. ის ბაზისად იყენებს, ამრავალფეროვნებს და ფუნქციურად რადიკალურად ცვლის თბილისის ინტერაქტიული რუკის მონაცემებს, შესაძლებლობებს და გამოყენების დანიშნულებას. კერძოდ, რუკაზე ქმნის არამართო დამატებით დამფარავ ფენებს, არამედ მას უკავშირებს მთელ რიგ ფუნქციონალებს, რაც სტანდარტულ ელ-რუკას გარდაქმნის ე.წ. „ჭკვიან რუკად“, სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილურ მექანიზმად - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალ “SMART MAP“-ად. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ფუნქციონალი, რომელიც აღწერილია ქვემოთ და ექცევა “Smart Map” პორტალის ფარგლებში, წარმოადგენს ერთიანი პორტალის შემადგენელ ნაწილს და არ არის დაფანტული სხვადასხვა პორტალებსა და ელექტრონულ საშუალებებში.“

## განხორციელების ეტაპები

1.1. მრავალფუნქციური ვებ-პორტალის შექმნისთვის და, ასევე, არსებული მუნიციპალური ინტერაქტიული რუკის განახლებისა და მოდერნიზაციისთვის ზუსტი ტექნიკური დავალების და ვადების შეთანხმება

1.1.1. პორტალის ტექნიკური და შინაარსობრივი ნაწილის შექმნა

1.1.2. მოქალაქის პირადი გვერდის შექმნა და ინტეგრირება რუკასთან

1.1.3. ინტერაქტიულ რუკაზე განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებზე მოქალაქის მიერ ინფორმაციის გამოწერის ფუნქცია

1.1.4. პორტალის პილოტირება და დანერგვა

1.1.5. სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება

1.1.6. ტრენინგის ჩატარება შესაბამის თანამშრომლებთან რუკის ფუნქციონირებისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების მიზნით

1.2. პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მედიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.

დაწყების თარიღი: იანვარი, 2019

დასრულების თარიღი: მარტი, 2020

**შენიშვნა:** ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi\\_Action-Plan\\_2018-2020.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Action-Plan_2018-2020.pdf)

ვალდებულებების მიმოხილვა	შეფასებადობა		OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ანა მთავრობა?					
	არ არის საკმარისად კონკრეტული, რომ შეფასდეს	საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულობისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
1.ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი ("SMART MAP")		✓	✓	✓	✓	✓									ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს					ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს

### კონტექსტი და მიზნები

დაურეგულირებელი ურბანული სამშენებლო პროექტები თბილისისთვის პრობლემური საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარმა პროექტებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხშირად არ მონაწილეობენ.<sup>1</sup> ერთ-ერთი ასეთი, ყველაზე გახმაურებული შემთხვევა იყო „პანორამა თბილისის“ პროექტი, რომელიც ქალაქის ცენტრსა და პერიფერიების ნაწილში 4 მულტიფუნქციური პუნქტის შექმნას ითვალისწინებდა.<sup>2</sup> მაშინ სამოქალაქო სექტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პროექტი მხოლოდ ინვესტორის ინტერესებს ემსახურებოდა, ქალაქის ისტორიული ნაწილის იერსახეს და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხს კი საგრძნობლად გააუარესებდა. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მშენებლობის ნებართვები საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე გასცა.<sup>3</sup> ამასთანავე, პროექტი მიიჩნეოდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესის სფეროდ, რომელმაც მისი განმახორციელებელი – საქართველოს თანაინვესტირების ფონდი დააფინანსა.<sup>4</sup> გარემოსდამცველებსა და თბილისის მერიას შორის კიდევ ერთი განხეთქილების (რომელიც 2019 წლის დასაწყისში მოგვარდა) მიზეზი იყო თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პარკში (ქალაქში ასეთი პარკი ცოტაა) – ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობა, რაც იქაურ მწვანე საფარს საფრთხეს უქმნიდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, „მწვანე ალტერნატივამ“ შემთხვევით აღმოაჩინა თბილისის იმდროინდელი მერის, გიგი უგულავას მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა.<sup>5</sup> საზოგადოების პროტესტის, დემონსტრაციებისა და სასამართლო პროცესების ფონზე ინვესტორები საბოლოოდ დათანხმდნენ „მიწის მთავრობისთვის მიყიდვას ან გაცვლას“, თუმცა მოლაპარაკების დეტალები უცნობია.<sup>6</sup>



ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF) 2017 წლის კვლევის „თბილისის მოსახლეობის საჭიროებების შეფასების“ თანახმად, ურბანული განვითარება და გამწვანება ქალაქის 6 ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შორის დასახელდა.<sup>7</sup> არასამთავრობო ორგანიზაციის „იარე ფეხით“ დირექტორმა, ხათუნა გველესიანმა აღნიშნა, რომ 2019 წელს ამ ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ურბანული ინიციატივების კონკურსზე წარდგენილი 38 წინადადებადან უმეტესობა სწორედ გამწვანების თემატიკას ეხებოდა.<sup>8</sup> გამწვანება აქტუალური საკითხი და განხილვის საგანი იყო აგრეთვე თბილისის გამგეობების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის გამართულ ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე, თუმცა პრობლემები რაიონების მიხედვით მაინც განსხვავდებოდა და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ტრანსპორტირება, პარკინგი და ქაოტური მშენებლობები.<sup>9</sup>

ეს ვალდებულება ახალ სამოქმედო გეგმაში პირველი სამოქმედო გეგმიდან მცირე ცვლილებებით გადავიდა. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს ისეთ ურბანულ პრობლემებზე მუშაობას, როგორცაა გარეგანათება, დასუფთავება და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები.<sup>10</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ურბანული პროექტები თბილისის მცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანია, ვალდებულების მიზანია, შეიქმნას ისეთი ელექტრონული მექანიზმი – საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი („SMART MAP“), რომელიც მოქალაქეებს მათი საცხოვრებელი გარემოს შესახებ შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის. ასეთი ინფორმაციის ერთიანი ბაზა მანამდე არ არსებობდა. „SMART MAP“ აგრეთვე ითვალისწინებს Fix-თბილისისა და თბილისის ფორუმის ფუნქციონალების შექმნას, რომელთა მეშვეობითაც მოქალაქეები გარკვეულ პრობლემებს დააფიქსირებენ და ერთმანეთში განიხილავენ. ინტერაქციული რუკა ქალაქის მცხოვრებლებს საშუალებას მისცემს, ნებისმიერ დროს ტერიტორიული ნიშნით მოიძიონ ინფორმაცია იმ ინფრასტრუქტურული, სამშენებლო და გამწვანების პროექტების შესახებ, რომელთაც თბილისის მერია და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურები ახორციელებენ. Fix-თბილისის პორტალში ინტეგრირების მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა.<sup>11,12</sup>

„SMART MAP“ თბილისის მერიას ავალდებულებს, დროულად გასცეს პასუხი მოქალაქეთა მიერ Fix-თბილისის მეშვეობით დასმულ საკითხებს და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით უფრო ადეკვატური სერვისები და პროექტები შეიმუშაოს. თბილისის ფორუმზე მოქალაქეთა დისკუსიებში ჩართვის და მათთვის პასუხის გაცემის ან მათი აზრის გათვალისწინების ვალდებულება მერიას არ ეკისრება. შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლებიც მერიის მიერ მოქალაქეებისთვის პასუხის გაცემას დაარეგულირებს, ჯერ განსაზღვრული არ არის. თუმცა ვალდებულება პასუხებისა და დასმული პრობლემების საჯაროდ გამოქვეყნებას ითვალისწინებს. შესაბამისად, ვალდებულება ეხმიანება OGP-ის ღირებულებებს – მოქალაქეთა ჩართულობას, ანგარიშვალდებულებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ვალდებულება შედგება შესრულების კონკრეტული ეტაპებისგან, რომელთა მიხედვითაც შეფასდებამისი შესრულება. თუ ვალდებულება სრულად შესრულდა, შეიქმნება ინფორმაციის ერთიანი პლატფორმა, რომელიც მოქალაქეებისთვის ინფორმაციას უფრო ხელმისაწვდომს გახდის, აგრეთვე მათ საშუალებას მისცემს, მერიას პრობლემური საკითხები შეატყობინონ და ონლაინდისკუსიებში ჩაერთონ. მთავრობის მუშაობის გასაუმჯობესებლად მერია ვალდებული გახდება, დადგენილ

დროში უპასუხოს მოქალაქეებს და გადაჭრას მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები, რომლებიც „SMART MAP“-ის მეშვეობით დაარეგისტრირეს. თუმცა ბევრი რამ არის დამოკიდებული პროექტის ცნობადობასა და მდგრადობაზე, რადგან ამ ვალდებულებისთვის სპეციალური კადრი მერიაში გამოყოფილი არ არის და პასუხისმგებლობებს არსებული თანამშრომლები შეითავსებენ.<sup>13</sup> ვალდებულება მოიცავს ვიდეო რგოლის გავრცელებასაც, რომელსაც კარგი იქნება, თუ სხვა საინფორმაციო აქტივობები დაემატება. „შენი იდეა ქალაქის მერს“ პროექტის შემთხვევაში, ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 9%-ს გაუგია მის შესახებ<sup>14</sup>. 2011 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით დაიწყო მსგავსი პროექტი – „chemikucha.ge“, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევდა, პრობლემები დაეფიქსირებინათ. თუმცა ეს პროცესი არასისტემური იყო და ამჟამად ვებგვერდი არ ფუნქციონირებს.<sup>15</sup>

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ვალდებულების შესახებ სხვადასხვა აზრი აქვთ. კერძოდ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) მიესალმება ამ ვალდებულების ახალ სამოქმედო გეგმაში შეტანას, OSGF კი ფიქრობს, რომ ის საკმარისად ამბიციური არ არის, რომ ტრანსფორმაციულ ცვლილებებს მიაღწიოს, რადგან მოსახლეობის საჭიროებებზე პასუხიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვა პოლიტიკის ცვლილებებს მოითხოვს.<sup>16,17</sup>

### შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულების რელევანტურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, იგი დროულად დაიწყოს და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მდგრადობა. ვალდებულების განგრძობითობისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა. ვალდებულების გასაუმჯობესებლად თბილისის მერიას შეუძლია უზრუნველყოს, რომ:

- ვალდებულება დროულად შესრულდეს და წარდგენილ იქნეს პლატფორმა, იმის გათვალისწინებით, რომ იგი წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ვერ დასრულდა.
- ვალდებულების შესასრულებლად განისაზღვროს შიდა მენეჯმენტის დეტალური სქემა. ვალდებულების ტექსტი არ აღწერს, როგორ განაწილდება პასუხისმგებლობები არსებულ კადრებს შორის, და აღნიშნავს, რომ მომავალში „განისაზღვრება მერიის თანამშრომელთა ვალდებულებები“. მნიშვნელოვანია, რომ შესრულების შემთხვევაში ვალდებულება მერიის არსებული თანამშრომლების სამუშაოს მოცულობას გაზრდის და მათ დამატებითი დავალებების შესრულება მოუწევთ. ამიტომ უნდა არსებობდეს ადეკვატური მენეჯმენტი, რათა თანამშრომლებმა ეფექტიანად შეძლონ მოქალაქეთა მიერ დაარეგისტრირებულ წინადადებებზე პასუხის გაცემა. ამ ეტაპზე ბუნდოვანია, ვინ მართავს პორტალს, ვინ განახორციელებს მოქალაქეებთან უკუკავშირს ან რა სიხშირით განახლდება პორტალზე ინფორმაცია.
- გაფართოვდეს Fix-თბილისის ფოკუსი და მასში შევიდეს სხვადასხვა თემატური მიმართულება (როგორც ეს პირველ სამოქმედო გეგმაში იყო), კერძოდ, გზების შეკეთება და სანიტარია, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაზრდელად.
- ამალდეს მოსახლეობის ცნობიერება. ეს ვალდებულების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან მოქალაქეებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათთვის არსებული სერვისების შესახებ და გაიზრდება OGP-ის ცნობადობა. თუ პორტალი „SMART MAP“ დროულად დაინერგა, მერიამ უნდა მოაწყოს მისი პრეზენტაცია, პროექტის „შენი იდეა ქალაქის მერს“ მსგავსად. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „SMART MAP“-ის პრეზენტაციაში OGP-ის და

სამოქალაქო სექტორის, უმთავრესად კი – სამუშაო ჯგუფის წევრების მონაწილეობა. მიზანშეწონილია, პორტალის შესახებ ვიდეორგოლის მომზადებასთან ერთად გავრცელდეს საინფორმაციო ბროშურები როგორც ღონისძიებებზე, ისე მერიის შენობაში.

---

<sup>1</sup>ნინო თარხნიშვილი, ხის ჭრა კორპუსების სახელით, რადიო თავისუფლება, 18 აგვისტო, 2017:

<https://bit.ly/2G43cH8>

<sup>2</sup> ეს ტერიტორიებია: სოლოლაკის ბაღები, სოლოლაკის მაღლობი, თავისუფლების მოედანი, ერეკლე II-ის მოედანი.

<sup>3</sup> ცირა ელისაშვილი, „პანორამა თბილისის“ პანორამული საფრთხე, ინდიგო, 26 თებერვალი, 2016:

<http://indigo.com.ge/articles/environment/panorama-tbilisis-panoramuli-saprtxe>

<sup>4</sup> ნინა ჯოუბი, გამოძიება: ვინ არიან „პანორამა თბილისის“ უცნობი მხარდამჭერები?, OC Media, 7 ნოემბერი, 2017: <https://oc-media.org/investigation-who-are-panorama-tbilisis-mystery-backers/>

<sup>5</sup> დათო ფარულავა, გარემოსდაცვითი აქტივისტები ვაკის პარკის სასტუმროს წინააღმდეგ 6-წლიან ბრძოლაში გამარჯვებას აღნიშნავენ, OC Media, 30 იანვარი, 2019: <https://oc-media.org/environmental-activists-celebrate-win-in-6-year-battle-against-vake-park-hotel/>

<sup>6</sup> დათო ფარულავა, გარემოსდაცვითი აქტივისტები ვაკის პარკის სასტუმროს წინააღმდეგ 6-წლიან ბრძოლაში გამარჯვებას აღნიშნავენ, OC Media, 30 იანვარი, 2019: <https://oc-media.org/environmental-activists-celebrate-win-in-6-year-battle-against-vake-park-hotel/>

<sup>7</sup> თბილისის მოსახლეობის საჭიროებების შეფასება, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF), 2017 წლის ივლისი: <https://bit.ly/2Vtazgz>

<sup>8</sup> ხათუნა გველესიანი, ურბანული არასამთავრობო ორგანიზაციის „იარე ფეხით“ დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2 მარტი, 2019.

<sup>9</sup> შეხვედრა თბილისის გამგეობების წარმომადგენლებთან, 21 თებერვალი, 2019:

<https://www.facebook.com/events/340984443425090/>

<sup>10</sup> გიორგი თოფურია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მარტი, 2019.

<sup>11</sup> თოფურია, 15 მარტი, 2019.

<sup>12</sup> ვლადიმერ ხასია, თბილისის მერიის ღია მმართველობის საკითხებზე მომუშავე კომისიის წევრი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 9 მარტი, 2019.

<sup>13</sup> გიორგი კიკნაძე, თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 18 მარტი, 2019.

<sup>14</sup> საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა: საქართველოს მოსახლეობა 2018, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI): აპრილი 2018: [http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29\\_georgia\\_poll\\_presentation.pdf](http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf)

<sup>15</sup> თოფურია, 15 მარტი, 2019.

<sup>16</sup> სალომე სადარაძე, პროექტის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 31 მარტი, 2019.

<sup>17</sup> ანანო ცინცაძე, პროექტის იურისტი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 25 მარტი, 2019.

## 2. ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა

### ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

„შეიქმნება დანარჩენ აპლიკაციებთან ინტეგრირებული ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს, ვიზუალურად წარმოდგენილ თემატურ ბიუჯეტში თითოეულ თემატურ პრიორიტეტსმიანიჭონ გარკვეული შეფასება და ამით მარტივად გადააჯგუფონ პრიორიტეტები სხვადასხვა თანმიმდევრობით. მოქალაქეებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ დაინახონ რომელი პრიორიტეტი რა ქვესაკითხებს მოიცავს და ასევე ექნებათ წვდომა ინფორმაციაზე, თუ როგორ იყო გადანაწილებული წინა წლების ბიუჯეტი, ან როგორ გადანაწილებას დაუჭირა მოსახლეობამ მხარი, როგორი იყო პრიორიტეტების გადანაწილება თბილისის ან ცალკეული გამგეობების თუ უბნების მასშტაბით. პროგრამა ცალკეული პირების მიერ მონიშნული პრიორიტეტებიდან ავტომატურად გამოიყვანს საშუალო შეწონილ შედეგს. ეს შედეგი განსახილველად სავალდებულო იქნება ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების ნებისმიერ ეტაპზე. თბილისის ფორუმის საშუალებით იარსებებს თბილისის ფორუმში კომენტარების დატოვების და უშუალოდ მერიისთვის მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. ამასთან, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკის (ბიუჯეტის, წლის, ტერიტორიის, ხმის მიმცემთა მასხასიათებლების მიხედვით და ა.შ.) ინტერაქტიული წარმოება. ხმის მიცემის პროცესის პარალელურად მერიის სამსახურები და გამგეობები უზრუნველყოფენ მოსახლეობასთან შეხვედრებსა და ხმის მიცემის პროცესის ხელშეწყობას.“

გაიწერება ვადები და პროცედურები, თუ რა დროიდან იწყება პლატფორმის გახსნა ხმის მიცემისთვის, როდის მთავრდება, რა ეტაპზე მოხდება ბიუჯეტის შედგენისა და კორექტირების სახელისუფლებო პროცედურების ფარგლებში საზოგადოების მიერ შექმნილი შეწონილი ბიუჯეტის განხილვა და მასთან საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტის შედარების შესახებ მოკლე განმარტების გამოქვეყნება. ასევე, გაიწერება მოთხოვნები საზოგადოებისთვის აქტიური გაცნობის თუ გამოკითხვის ფორმატზე, გათვალისწინებული იქნება შშმ-პირების, და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობა გამოკითხვაში.“

### განხორციელების ეტაპები

- 2.1. ზუსტი ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება თუ რა ფუნქციონალებით უნდა იყოს დატვირთული ბიუჯეტირების ვებ-აპლიკაცია
- 2.2. აპლიკაციის შინაარსობრივი და პროგრამული უზრუნველყოფის განხორციელება
- 2.3. სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება
- 2.4. სისტემის ტესტირება, გაუმჯობესება და დანერგვა
- 2.5. მერიის თანამშრომლების დატრენინგება
- 2.6. პორტალისა და OGP-სფ არგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.
- 2.7. სისტემის ამოქმედება, მოსახლეობის ჩართვა მონაწილეობით ბიუჯეტირებაში 2020 წლის ბიუჯეტის შედგენის მიზნით.

დაწყების თარიღი: ოქტომბერი, 2018

დასრულების თარიღი: თებერვალი, 2020

**შენიშვნა:** ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi Action-Plan\\_2018-2020.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Action-Plan_2018-2020.pdf)

ვალდებულების მიმოხილვა	შეფასებადობა		OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ანა მთავრობა?					
	არ არის საკმარისად კონკრეტული, რომ შეფასდეს	საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
2. ბიუჯეტის მონაწილეობით დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა		✓	✓	✓		✓									ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს					ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს

**კონტექსტი და მიზნები**

მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ღია მმართველობის პრაქტიკას, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.<sup>1</sup> საქართველო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მხრივ მსოფლიოს პირველ ხუთეულშია, კერძოდ, მან 2012 წელთან შედარებით 28 ადგილით წინ გადაინაცვლა.<sup>2</sup> თუმცა, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის<sup>3</sup> თანახმად, საქართველოს მუნიციპალიტეტების უმეტესობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას ვერ უზრუნველყოფს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) შეფასებით კი, საქართველოში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა ფორმირების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა.<sup>4</sup>

ამჟამად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვა მერიის პრეროგატივაა, ხოლო საკრებულოს ცალკეული კომისიები საკრებულოს მიერ ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცებამდე მერიას ბიუჯეტის პროექტის შესახებ კომენტარებსა და რეკომენდაციებს წარუდგენენ.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოში მიმდინარე ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესი საზოგადოებისთვის ღიაა, მასში მოქალაქეთა მონაწილეობა და მათი ინტერესი, როგორც წესი, დაბალია.<sup>6</sup> წინა წლების ბიუჯეტები საჯაროდ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე<sup>7</sup>, თუმცა მოქალაქეები ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში აქტიურად მაინც ვერ ერთვებიან.

თბილისის მერიამ აიღო ვალდებულება, დანერგოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა, რათა მოქალაქეებს საშუალება მიეცეთ, ვიზუალურად წარმოდგენილ თემატურ ბიუჯეტში თითოეულ თემატურ პრიორიტეტს გარკვეული შეფასება მიანიჭონ და პრიორიტეტები სხვადასხვა თანამიმდევრობით გადააჯგუფონ.

პროგრამა ცალკეულ პირთა მიერ მონიშნული პრიორიტეტებიდან ავტომატურად გამოიყვანს საშუალო შეწონილ შედეგს, შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე კი ამ შედეგის განხილვა სავალდებულო იქნება ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების ნებისმიერ ეტაპზე. ახალი მექანიზმი მოქალაქეებს არამარტო ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის, არამედ აგრეთვე ბიუჯეტის განაწილებისა და დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის გამარტივებული გზით მიღების შესაძლებლობას მისცემს. ისინი იმასაც შეიტყობენ, თუ როგორ გადანაწილდა წინა წლების ბიუჯეტები ან როგორ გადანაწილებას დაუჭირა მხარი მოსახლეობამ. შესაბამისად, ვალდებულება ეხმიანება OGP-ის ღირებულებებს – ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას და ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს.

ეს ვალდებულება წინა სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყო მესამე ვალდებულების სახით, რომელიც დამატებით ითვალისწინებდა თბილისის მცხოვრებლებთან პირისპირ ინტერვიუებს მტკიცებულებებზე დამყარებული ბიუჯეტირების ხელშესაწყობად.<sup>8</sup> ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF) მხარდაჭერით შემუშავდა მეთოდოლოგია და კითხვარები, თუმცა, პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ვალდებულების ეს კომპონენტი ახალ სამოქმედო გეგმაში აღარ შესულა.<sup>9</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და USAID GGI-მ წამოაყენეს მოსაზრება, ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოს გარკვეული თანხა, რომელიც მოსახლეობის პრიორიტეტების მიხედვით დაიხარჯება, თუმცა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის ინფორმაციის თანახმად, ამის განხორციელება საკმაო სამართლებრივ სირთულეებს უკავშირდება.<sup>10</sup> USAID GGI-ს რჩევით, თბილისის აგრეთვე შეუძლია მონაწილეობითი ბიუჯეტირების ესტონური მოდელის დანერგვა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებებს ავალდებულებს ყოველწლიურად კონკრეტული თანხა გამოიყონ, რომელიც მოქალაქეების მიერ შეთავაზებულ პროექტებზე დაიხარჯება.

ვალდებულება საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს, ვინაიდან ის მოიცავს მკაფიო განსახორციელებელ ღონისძიებებს, მათ შორის, სათანადო სისტემისა და აპლიკაციის შექმნას, აგრეთვე სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, აღნიშნული სისტემის ტესტირებას და თბილისის მერიაში არსებული შესაბამისი კადრის გადამზადებას. სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულებას შეიძლება ჰქონდეს საშუალო პოტენციური შედეგი, რადგან მოქალაქეები თავიანთ საბიუჯეტო პრიორიტეტებს მერიაში უფრო ადვილად დაარეგისტრირებენ. შესაბამისად, ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს ბიუჯეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა უკეთ ინტეგრირებას. მათი ინტეგრირება მნიშვნელოვანია, რათა ბიუჯეტი უფრო ადეკვატურად ასახავდეს მოქალაქეთა საჭიროებებს, რადგან ამ ეტაპზე მათ არ აქვთ არანაირი მექანიზმი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ჩასართავად.<sup>11</sup> რაც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეები უფრო მარტივად ნახავენ და შეადარებენ წინა წლების ბიუჯეტებსა და მოსახლეობის პრიორიტეტებს. ეს ინფორმაციის მოძებნის დროსაც შეამცირებს. თბილისის ფორუმზე მოქალაქეებს ბიუჯეტის შესახებ აზრის გამოთქმაც შეეძლება, თუმცა ვალდებულება არ განსაზღვრავს, გაითვალისწინებს თუ არა მერია გამოთქმულ მოსაზრებებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორი ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლის აზრით, ვალდებულების ეფექტიანობასა და მდგრადობასთან დაკავშირებით კითხვები არსებობს.<sup>12</sup> მან აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომაც დანერგა თავის ვებგვერდზე მსგავსი

მექანიზმი („დაგეგმე ბიუჯეტი“), მაგრამ მისი არსებობა ფორმალურაა. ამიტომ, ვინაიდან ამ ინიციატივას აქვს პოტენციალი, პოლიტიკური დაინტერესება და ცნობადობის გაზრდა თბილისის მცხოვრებლების მიერ მის გამოყენებას წახალისებს. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე ([survey.mof.ge](http://survey.mof.ge)) მხოლოდ 89 მოქალაქემ დაარეგისტრირა თავისი საბიუჯეტო პრიორიტეტი.<sup>13</sup> ამიტომ ლოგიკურია ვარაუდი, რომ პლატფორმის შესახებ ვიდეორგოლების მომზადება საკმარისი არ იქნება. ვალდებულება უფრო ძლიერ საკომუნიკაციო კამპანიას და ამ მიმართულებით მუშაობას მოითხოვს. ამასთანავე, ბუნდოვანია, როგორ მოხდება პლატფორმის მართვა. კერძოდ, ვალდებულების ტექსტში ნათქვამია, რომ „ხმის მიცემის პროცესის პარალელურად მერიის სამსახურები და გამგეობები უზრუნველყოფენ მოსახლეობასთან შეხვედრებსა და ხმის მიცემის პროცესის ხელშეწყობას“, თუმცა არ არის აღნიშნული, როგორ მოხდება ამის უზრუნველყოფა. ტექსტში არც ისაა ნახსენები, თუ როგორ წარმართება პორტალის მართვის პროცესი გრძელვადიან პერსპექტივაში.

### შემდეგი ნაბიჯები

თუ ვალდებულება მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში სრულად ვერ შესრულდა, იგი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა გაგრძელდეს და შემდეგ სამოქმედო გეგმაში შევიდეს. ვალდებულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციას, თბილისის მერიამ:

- ორიენტაცია ვალდებულების მდგრადობაზე აიღოს: მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს, როგორ იმუშავებს მექანიზმი, ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი, რომელიც პორტალიდან შემოსულ ინფორმაციას გააანალიზებს და მომხმარებლებს უპასუხებს.
- გააძლიეროს ვალდებულების საკომუნიკაციო კომპონენტი, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია მის შესახებ, აგრეთვე ადვილად მიიღონ უკუკავშირი. მერიამ უნდა გაავრცელოს სრული ინფორმაცია პროცესის შესახებ, მათ შორის, იმის თაობაზე, თუ როდის და სად გამოქვეყნდება მოქალაქეებისთვის გაცემული პასუხები. ეს შეიძლება განხორციელდეს საინფორმაციო ბროშურების, ვიდეორგოლების, სოციალური მედიისა და ვებგვერდების მეშვეობით. მიზანშეწონილია, დაიგეგმოს შესაბამისი პოლიტიკა მოქალაქეთა მიერ დარეგისტრირებული წინადადებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით და წინასწარ გამოქვეყნდეს ის მონაცემები, რომლებზედაც საჯარო ხმის მიცემა გავლენას მოახდენს.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების და ვალდებულების რელევანტურობის ხელშეწყობის მიზნით ჩაატაროს მოსახლეობის აზრის გამოკითხვა, რაც წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულების ნაწილი იყო. თუმცა ეს აუცილებლად მოითხოვს დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზებას.
- შესაძლოა მოხდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ესტონური მოდელის დანერგვა (რაც, USAID GGI-მ სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს სამუშაო ჯგუფს შესთავაზა). ეს თბილისის მერიას დაავალდებულებს ყოველწლიურად გამოყოს თანხა და დააფინანსოს საჯარო ხმის მიცემის შედეგად გამარჯვებული მოქალაქეების პროექტები.

<sup>13</sup>ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები – ცნობარი, 10 მაისი, 2019:

[https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage\\_en/23634/EU-Georgia%20relations.%20factsheet](https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/23634/EU-Georgia%20relations.%20factsheet)

---

<sup>2</sup>ბიუჯეტის გამჭვირვალობის მხრივ საქართველო მსოფლიოს ხუთეულშია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 31 იანვარი, 2018: <https://www.transparency.ge/ge/post/biujetis-gamchvirvalobis-mxriv-sakartvelo-msoplios-xuteulshia>

<sup>3</sup>საქართველოს მუნიციპალიტეტების ეროვნული შეფასება, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 6 დეკემბერი, 2017: [https://idfi.ge/ge/national\\_assessment\\_of\\_georgian\\_municipalities](https://idfi.ge/ge/national_assessment_of_georgian_municipalities)

<sup>4</sup>მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასება ქალაქ ბათუმის, ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტებში, მარტი, 2017: [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/idfi\\_general/Engagement\\_Practice\\_Assessment\\_in\\_Municipalities\\_of\\_Georgia\\_Final\\_geo.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/Engagement_Practice_Assessment_in_Municipalities_of_Georgia_Final_geo.pdf)

<sup>5</sup>თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს საკრებულოს კომისიები განიხილავენ, 1tv.ge, 20 ნოემბერი, 2018: <https://1tv.ge/news/tbilisis-2019-wlis-biujetis-proepts-sakrebulo-komisiebi-ganikhilaven/>

<sup>6</sup>დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): თბილისი, საქართველო, საბოლოო ანგარიში – 2017: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi\\_Final-Report\\_2017.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Final-Report_2017.pdf)

<sup>7</sup>თბილისის ბიუჯეტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია: <http://www.tbilisi.gov.ge/page/43?lang=ge> (ნანახია 2019 წლის 2 აპრილს).

<sup>8</sup>დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): თბილისი, საქართველო, საბოლოო ანგარიში – 2017, გვ. 37–42: [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/01/Tbilisi\\_Final-Report\\_2017.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/01/Tbilisi_Final-Report_2017.pdf)

<sup>9</sup>ვლადიმერ ხასია, თბილისის მერიის ღია მმართველობის საკითხებზე მომუშავე კომისიის წევრი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 12 აპრილი, 2019.

<sup>10</sup>გიორგი თოფურია, უფროსი ანალიტიკოსი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მარტი, 2019.

<sup>11</sup>საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 18 ოქტომბერი, 2018: <https://www.transparency.ge/ge/blog/sakartvelos-2019-clis-saxelmcipo-biujetis-proektis-analizi-darekomendaciebi>

<sup>12</sup>მონაწილეობითი ბიუჯეტირება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), 2016: <https://bit.ly/2CZDFgk>

<sup>13</sup>მიიღე მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: <http://survey.mof.ge>



### 3. სერვისების ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობით მათი გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა

#### ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

“შეიქმნება ინტეგრირებული ვებ-აპლიკაცია, რომლითაც ონლაინ, სახლიდან გაუსვლელად მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდება მერიის სისტემის ფარგლებში არსებული ყველაზე მოთხოვნადი ურთიერთდაკავშირებული სერვისები, ამ სერვისების ფარგლებში ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრებისკენ სვლის მიზნით.

პირველ ეტაპზე, ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში არქიტექტურისა და ურბანული განვითარების მიმართულებების გარდა სერვისების ელექტრონიზაციას დაექვემდებარება შემდეგი სამსახურების სერვისები: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ყველა სერვისი, ასევე ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ყველა ის ფუნქცია, რომელიც თავისი შინაარსით გამოტანადია მოქალაქეების მხრიდან სერვისის სახით მოხმარებისთვის (ამ უკანასკნელის ზუსტი ჩამონათვალის დასახელებები დანართი N3-ით გათვალისწინებული, ამ ვალდებულების შესრულების პირველივე ეტაპზე განისაზღვრება). აღნიშნული მომსახურების ტექნიკურად გამარტივების გარდა, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრების მიმართულებით, საზოგადოებისთვის მერიის სისტემაში კონკრეტულ სფეროებში არსებულ მომსახურებებზე სრული ინფორმაციის მიღებისა და ხელმისაწვდომობის არსებითი გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვებ-აპლიკაცია საშუალებას მისცემს მოქალაქეს შექმნას თავისი ონლაინ ანგარიში, მუნიციპალიტეტში მოუსვლელად მიიღოს სერვისები და მართოს თავისი ინფორმაცია. წვდომა შესაძლებელი იქნება მობილურის აპლიკაციითაც.

ფორმატი გაითვალისწინებს სერვისებთან დაკავშირებით მოქალაქეების მიერ ინფორმაციის, უკუკავშირის დაფიქსირების შესაძლებლობას. ეს ინფორმაცია თბილისის მერიის მხრიდან დაექვემდებარება პერიოდულ ანალიზს, სერვისის მიწოდებლები გააანალიზებენ და შეაჯამებენ მიღებულ უკუკავშირსა და ელექტრონული სერვისების სტატისტიკურ მონაცემებს. აღნიშნული ანალიზი გამოქვეყნება საჯაროდ და თბილისის მერიის მიერ გამოყენებული იქნება სერვისების გაუმჯობესებისთვის. სამართლებრივად გაიწერება პროცედურები აღნიშნული მექანიზმის მხარდასაჭერად.”

#### განხორციელების ეტაპები

- 3.1. გარემოსდაცვის, ზედამხედველობის, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში ასრულებული საქმის წარმოების ბიზნეს პროცესების აღწერა - დოკუმენტირება.
- 3.2. განცხადების სახეობების რანგირება და მოძრაობების (დამუშავების) განსაზღვრა. შიდა ბიზნეს პროცესების დამუშავების პანელი - თანამშრომლის გვერდი.
- 3.3. ერთიანი სერვისების საჯარო პლატფორმის შექმნა. მოქალაქის მხრიდან უკუკავშირის საშუალებების შექმნა. მუნიციპალიტეტში მოქალაქის პირადი გვერდის (რომელიც ასევე ინტეგრირებულია სხვა ვალდებულებებით გათვალისწინებულ ფუნქციონალებთან). მათი დანერგვა.
- 3.4. სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება.
- 3.5. მერიის თანამშრომელთა ტრენინგი.
- 3.6. პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეორგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.

დაწყების თარიღი: მარტი, 2019

დასრულების თარიღი: თებერვალი, 2020

**შენიშვნა:** ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგძლიათ იხილოთ: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi Action-Plan 2018-2020.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Action-Plan_2018-2020.pdf)

ვალდებულების მიმოხილვა	შეფასებადობა		OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ანა მთავრობა?				
	არ არის საკმარისად კონკრეტული, რომ შეფასდეს	საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
3. სერვისების ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობით მათი გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა		✓	✓	✓		✓								ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს				ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს	

### კონტექსტი და მიზნები

ეს ვალდებულება წინა სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყო მეხუთე ვალდებულების სახით, რომელიც 2018 წლამდე სრულად ვერ შესრულდა.<sup>1</sup> საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) 2018 წლის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 32% ენდობა ადგილობრივ მთავრობას, თბილისის მოსახლეობის ნახევარი კი მისი საქმიანობით უკმაყოფილოა.<sup>2,3</sup> ნდობის ნაკლებობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის საჭიროებაზე მიუთითებს. თბილისის მერიამ ამ მიმართულებით გადადგა ნაბიჯები, რომლებიც ელექტრონული პორტალების დანერგვას ითვალისწინებდა. 2015 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერით შეიქმნა მერიის ახალი ვებგვერდი ([www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)) ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამოკითხვებსა და შეფასებებში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად. თუმცა, IRM-ის მიერ ორგანიზებულმა ფოკუსჯგუფმა და OGP-ის საჯარო კონსულტაციებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ მოქალაქეს არ აქვს სრულფასოვანი ინფორმაცია მათთვის არსებული სერვისების შესახებ.<sup>4</sup> ამასთანავე, მოქალაქეებს ხშირად ეშლება, რომელ სააგენტოს რა ევალება, მათ შორის, მათ არ იციან მერიის, გამგეობისა და საკრებულოს პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები.<sup>5</sup>

არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთი ფანჯრის პრინციპით შეიქმნება ინტეგრირებული ვებ- და მობილური აპლიკაცია, რომლითაც ონლაინ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება თბილისის მერიის სისტემის ფარგლებში არსებული ყველაზე მოთხოვნადი, ურთიერთდაკავშირებული სერვისები. მომხმარებლებს შეეძლება ელექტრონულად დარეგისტრირება, პირადი ანგარიშის შექმნა და მათთვის საინტერესო სერვისების მართვა. არქიტექტურისა და ურბანული განვითარების მიმართულებების გარდა, გაციფრულდება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ყველა სერვისი, აგრეთვე მუნიციპალური ინსპექციის ყველა ფუნქცია, რომლებსაც მოქალაქეები სერვისების სახით იყენებენ. ფორმატი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ უკუკავშირის მეშვეობით მოქალაქეებმა სერვისების შესახებ აზრი გამოთქვან. ეს მერიას სერვისების გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. სერვისების მიმწოდებლები გააანალიზებენ, შეაჯამებენ და გამოაქვეყნებენ მომხმარებელთა უკუკავშირისა და ელექტრონული სერვისების სტატისტიკურ მონაცემებს, რათა მოქალაქეებმა ნახონ, როგორ იქნა გათვალისწინებული მათი კომენტარები. IRM-ის მიერ ორგანიზებული ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა<sup>6</sup>, რომ ხელისუფლება, ჩვეულებრივ, არ ეკითხება მოსახლეობას აზრს და გადაწყვეტილებებსაც დამოუკიდებლად იღებს. ამიტომ ამ ვალდებულებას აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს აღნიშნული პრაქტიკის ცვლილებას.

ვალდებულება ეხმიანება OGP-ის ღირებულებებს – ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას და ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს. ვებპორტალი, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპს დაეფუძნება, სერვისების ხელმისაწვდომობასა და მოხმარების სიჩქარეს გაზრდის, ხოლო უკუკავშირის ფუნქციონალი მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, სერვისების მოხმარების გამოცდილება გაუზიარონ მათ მიმწოდებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებული იქნებიან მიღებული უკუკავშირი გააანალიზონ. ვალდებულება მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მისი შესრულების შეფასება (მათ შორის, ურბანული განვითარების, გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის მიმართულებებით). შეიძლება შემოწმდეს ისიც, თუ რამდენად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა, სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება, სარეკლამო ვიდეორგოლების გავრცელება.

ვალდებულებას საშუალო პოტენციური შედეგი აქვს. მომხმარებელზე ორიენტირებული, ინტეგრირებული ვებპორტალის შექმნით, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპს დაეფუძნება, შესაძლებელია გაძლიერდეს თბილისის მერიის სერვისებში მოქალაქეთა ჩართულობა და მათი მონიტორინგი. აგრეთვე შესაძლებელია ვებპორტალმა გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს სერვისების შესახებ მოსახლეობის აზრი მიაწოდოს, რაც მერიაში სიახლე იქნება. ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებების მიუხედავად, მისი ტექსტი არ განმარტავს, როგორ გაანალიზდება და შეჯამდება მიღებული კომენტარები და ექნება თუ არა მათ კონკრეტული შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მოსახლეობის 76% ინტერნეტს ყოველდღე იყენებს<sup>7</sup>, როგორც IRM-ის მიერ ორგანიზებულმა ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, ზოგი მოქალაქე უპირატესობას პირისპირ კომუნიკაციას ანიჭებს, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ ვერბალური კომუნიკაცია უფრო ინფორმაციული, შედეგზე ორიენტირებული და ეფექტიანი შეიძლება იყოს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა გაიზარდოს ელექტრონული სერვისებისადმი მოსახლეობის ნდობა და მეტმა ადამიანმა გაიაზროს ასეთი სერვისების მნიშვნელობა.

აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, ცენტრალიზებული პლატფორმის შექმნით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. ეს მექანიზმი მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, თბილისის მერიაში მისვლის გარეშე შეიტყონ უფრო მეტი იქ არსებული სერვისების შესახებ. სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივებამ შეიძლება მათი მოხმარებაც გაზარდოს. სხვადასხვა სერვისის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე გაბნეულია და ინფორმაციის ერთიანი, სისტემური წყარო არ არსებობს. პირადი ანგარიშის შექმნა თბილისის მცხოვრებლებს ინფორმაციის მოპოვებისა და თავიანთი ინტერესების შესაბამისად მართვის საშუალებას მისცემს.

## შემდეგი ნაბიჯები

ვინაიდან ვალდებულება დროული და რელევანტურია და წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში სრულად ვერ შესრულდა, თბილისის მერიამ მისი შესრულება პრიორიტეტად უნდა აქციოს. გათვალისწინებულ იქნა IRM-ის რეკომენდაცია ვალდებულებაში ცვლილებების შეტანისა და გაგრძელების თაობაზე. ამიტომ ვალდებულება აღარ შეიცავს მოქალაქეთა მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბების კომპონენტს და მთლიანად ვებ- და მობილური აპლიკაციის შექმნაზეა ორიენტირებული. ვალდებულების მდგრადობის უზრუნველსაყოფად IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, მერიამ:

- განსაზღვროს მკაფიო პროცედურული ნაბიჯები მოქალაქეთა უკუკავშირზე რეაგირებისთვის. მერიას შეუძლია შეიმუშაოს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაავალდებულებს მთავრობას, იმოქმედოს კონკრეტულ ვადებში, სათანადო პრინციპების შესაბამისად.
- ჩაატაროს საკომუნიკაციო კამპანიები მოქალაქეთა მიერ ელექტრონული სერვისების მოხმარების გასაზრდელად. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება სარეკლამო ვიდეორგოლების გავრცელებას ითვალისწინებს, შესაძლებელია ცნობიერების ასამაღლებელი კომპონენტის გაძლიერება. კარგი იქნება, მოეწყოს პორტალის პრეზენტაცია და ღონისძიებაზე დარიცხვას საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებითაც მოქალაქეები ამ პორტალის, კონკრეტული სერვისების, მათი მოხმარებისა და, ზოგადად, OGP-ის შესახებ უფრო მეტს შეიტყობენ.

<sup>1</sup> დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): თბილისი, საქართველო, საბოლოო ანგარიში – 2017, გვ. 48–54: [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/01/Tbilisi\\_Final-Report\\_2017.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2019/01/Tbilisi_Final-Report_2017.pdf)

<sup>2</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქვეყნებს კვლევას ყველაზე სანდო ქართული ინსტიტუტების შესახებ, *Georgian Journal*, 20 ივნისი, 2018: <https://www.georgianjournal.ge/society/34617-transparency-international-georgia-publishes-a-survey-about-the-most-trusted-georgian-institutions.html>

<sup>3</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევა: საქართველოს მოსახლეობა, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI): 10–22 აპრილი, 2018: [http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29\\_georgia\\_poll\\_presentation.pdf](http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf)

<sup>4</sup> ფოკუსჯგუფი, 28 მარტი, 2019.

<sup>5</sup> ხათუნა გველესიანი, ურბანული არასამთავრობო ორგანიზაციის „იარე ფეხით“ დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2 მარტი, 2019.

<sup>6</sup> ფოკუსჯგუფი საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან, 28 მარტი, 2019.

<sup>7</sup> NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის დეკემბერი: ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე (დასახლების ტიპის მიხედვით), კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: <https://caucasusbarometer.org/en/nd2018ge/FROJINTR-by-SETTYPE/>

## 4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია

### ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

“OECD-ის რეკომენდაციების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის ამაღლების საშუალო ვადიან სტრატეგიას აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის გაიწერება კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სტანდარტები, ხოლო ამ სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდება სამოქმედო გეგმა, შესრულების ინდიკატორები და მონიტორინგის ჩარჩო.”

### განხორციელების ეტაპები

- 4.1. კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის შესახებ სიტუაციური ანალიზის მომზადება.
- 4.2. კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადება.
- 4.3. კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტების საჯარო განხილვები.
- 4.4. კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის, შესრულების ინდიკატორების და მონიტორინგის ჩარჩოს საბოლოო ვერსიის შემუშავება.
- 4.5. კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის, შესრულების ინდიკატორების და მონიტორინგის ჩარჩოს დამტკიცება.

დაწყების თარიღი: იანვარი, 2019

დასრულების თარიღი: ნოემბერი, 2019

**შენიშვნა:** ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: [https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi Action-Plan 2018-2020.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Action-Plan_2018-2020.pdf)

ვალდებულების მიმოხილვა	შეფასებადობა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრულება	გახსნა ან მთავრობა?
------------------------	--------------	------------------------------------	-------------------	-----------	---------------------

	არ არის საკმარისად კონკრეტული, რომ შეფასდეს	საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს	ინფორმაციის ხელმძისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	სამუშაო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია		✓		✓				✓			ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს				ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს				

### კონტექსტი და მიზნები

ანტიკორუფციული მიმართულებით შედეგების გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 60% ფიქრობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ძალაუფლებას არამიზნობრივად იყენებენ, 36%-ის აზრით კი, ისინი თავიანთი თანამდებობებით პირად სარგებელს ნახულობენ.<sup>1</sup> წლების განმავლობაში არსებობდა კითხვები თბილისის მერიის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით, რაც უმთავრესად მერიისა და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების ფინანსური და სხვა შესაბამისი ინფორმაციის დაბალი ხელმძისაწვდომობით იყო გამოწვეული.<sup>2</sup>

2016 წლის მონიტორინგის ანგარიშში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) საქართველოს მისცა რეკომენდაცია, არამართო დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო შეექმნა, არამედ ცალკეულ სამინისტროებში და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შემუშავებინა და განეხორციელებინა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმები.<sup>3</sup> ეს ვალდებულება სწორედ ამ რეკომენდაციას ეხმიანება. მისი მიზანია თბილისის მერიაში კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის პრაქტიკის გაძლიერება. უფრო კონკრეტულად კი, ამჟამინდელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიული დოკუმენტის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ვალდებულება შეიმუშავა და სამუშაო ჯგუფს შესთავაზა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტმა „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“. USAID GGI პასუხისმგებელია აგრეთვე ვალდებულების შესრულებისთვის და მერიაში სიტუაციური ანალიზის ჩატარებისთვის. პროექტის წარმომადგენლების თქმით, სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად შეირჩა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), რომელიც მერიასთან ერთად იმუშავებს.<sup>4</sup> სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსიები განხილვისთვის სამუშაო ჯგუფს და საზოგადოებას წარედგინება. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სამოქალაქო სექტორი საჯარო დაწესებულებას კეთილსინდისიერი მმართველობის სტრატეგიის შემუშავებაში ეხმარება:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ USAID GGI-სა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) პარტნიორობით უკვე შეიმუშავა გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია (2017-2020 წწ.) და ამ სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა (2017-2018).<sup>5</sup>

ვალდებულება პირდაპირ ეხმიანება OGP-ის ღირებულებას – მოქალაქეთა ჩართულობას, რადგან ის სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების გამართვას ითვალისწინებს. ლოგიკურად, პირველ ეტაპზე დაგეგმილია საჭიროებების შეფასება, რომლის მეშვეობითაც დადგინდება თბილისის მერიაში არსებული მდგომარეობა და ღონისძიებების განხორციელების შემდეგ შეფასდება შესაბამისი პროგრესი, აგრეთვე გამოვლინდება ხარვეზები და მოხდება პრობლემების იდენტიფიცირება საპასუხო სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად. სამოქმედო გეგმის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია არსებობდეს ადეკვატური მონიტორინგის ჩარჩო, რომელიც სტრატეგიის განხორციელების ხარისხს ეფექტიანად შეაფასებს. თუმცა OGP-ის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული არ არის, რა სახის ინფორმაცია გახდება საჯარო ვალდებულების შესრულების შედეგად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ვალდებულების ტექსტი არ განმარტავს, რა მექანიზმებით დაავალდებულებს საზოგადოება მერიას, განხორციელოს აღნიშნული სტრატეგია.

ვალდებულების შესრულების ეტაპების უმეტესობა მკაფიო და შეფასებადია. თუმცა ვალდებულება არ განსაზღვრავს საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების ფორმატს და არც იმას, თუ რამდენად აისახება შეხვედრების შედეგები საბოლოო სტრატეგიაზე. საწყისი ეტაპია არასამთავრობო ორგანიზაციის შერჩევა, რომელიც ჩაატარებს თბილისის მერიის კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სიტუაციურ ანალიზს, რასაც კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავება, განხილვა და დამტკიცება მოჰყვება. USAID GGI-ს წარმომადგენლების თქმით, პროცესი თანამონაწილეობის პრინციპს ეფუძნება და დაინტერესებული მხარეების მრავალმხრივ ჩართვას ითვალისწინებს.<sup>6</sup> ვალდებულების პოტენციური შედეგი ფასდება, როგორც „მცირე“. ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში მერიას ექნება სტრატეგია, ხედვა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის გასაძლიერებლად, რამაც შეიძლება შეცვალოს მისი ორგანიზაციული კულტურა. თუმცა ბევრი რამ არის დამოკიდებული სტრატეგიის შინაარსსა და განხორციელებაზე.

ვალდებულების შესრულებით შესაძლებელია გაიზარდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ისეთ სფეროში, როგორცაა შიდა ტრანზაქციები და ფინანსების მართვა, იმის მიხედვით, თუ რა ხარვეზები გამოიკვეთება საჭიროებების შეფასების შედეგად. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, თვითმმართველმა ერთეულებმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩათვლით, დემოკრატიული მმართველობის ხარისხის ასამაღლებლად უნდა გადაწყვიტონ ხელფასებისა და დანამატების საკითხები, აგრეთვე გააუმჯობესონ კადრების აყვანის, თანამშრომელთა დაწინაურებისა და დათხოვნის პროცესები და უზრუნველყონ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნულის შედეგად, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სტრატეგიის შემუშავებით შესაძლებელია გაიზარდოს კორუფციის რისკებისა და საპასუხო მექანიზმების ცნობადობა, რაც ხელს შეუწყობს მერიისადმი ნდობის გაძლიერებას.

## შემდეგი ნაბიჯები

ეს ვალდებულება გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერი მმართველობის ხელშესაწყობად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. სამომავლოდ მნიშვნელოვანია, აღნიშნულ სტრატეგიას ჰქონდეს უკუკავშირისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტი, რათა მონიტორინგი გაეწიოს მის განხორციელებას. თბილისის მერის მოადგილის ან ვიცე-მერის სტრატეგიის შესახებ რეგულარულმა ინფორმირებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს უფრო მაღალი დონის პოლიტიკურ ჩართულობას. ამასთანავე, სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მერიის თანამშრომელთა მოვალეობები და უნდა შეიქმნას მართვის სისტემა.

---

<sup>1</sup> TI საქართველო: კორუფცია მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, Civil.ge, 12 აპრილი, 2019:

<https://civil.ge/archives/302002>

<sup>2</sup> IDFI-ს რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის პირველ სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2018.

<sup>3</sup> ანტიკორუფციული რეფორმები საქართველოში: სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეოთხე რაუნდი, OECD, 2016: <http://www.oecd.org/corruption/anti-bribery/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf>

<sup>4</sup> მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, მარიკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GI) საქართველოში, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 მარტი, 2019.

<sup>5</sup> რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 1 მაისი, 2017:

[https://idfi.ge/en/the\\_ministry\\_of\\_regional\\_development\\_and\\_infrastructure\\_adopted\\_the\\_transparency\\_and\\_integrity\\_strategy\\_and\\_action\\_plan](https://idfi.ge/en/the_ministry_of_regional_development_and_infrastructure_adopted_the_transparency_and_integrity_strategy_and_action_plan)

<sup>6</sup> დარჩიაშვილი, გორგაძე, 11 მარტი, 2019.



## 5. თბილისის მერიაში გამჭვირვალობის ხარისხის განვითარება ელექტრონული მექანიზმების მეშვეობით

### ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

„ვალდებულებაში ინტეგრირებულია სამი მიმართულება, რომლებიც მიზნად ისახავს თბილისის მერიაში ელ-გამჭვირვალობის განვითარებას და ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. კერძოდ, ვალდებულება ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- 2.1 თბილისის მერიის პორტალის განახლება IDFI-ის მიერ მომზადებული კონცეფციის გათვალისწინებით...
- 2.2 საჯარო ინფორმაციის გვერდის ახალი ვერსიის შემუშავება...
- 2.3 თბილისის მერიის ღია მონაცემების გვერდის შექმნა...“

### განხორციელების ეტაპები

- 5.1. თბილისის მერიისთვის შეთავაზებულ კონცეფციაზე დაყრდნობით პორტალის განახლებისათვის საჭირო ტექნიკური დავალების შემუშავება;
- 5.2. საჯარო ინფორმაციის გვერდის კონცეფციის ინტეგრირება თბილისის მერიის პორტალის ტექნიკურ დავალებაში;
- 5.3. ტექნიკური დავალების მიხედვით თბილისის მერიის პორტალზე ახალი ფუნქციონალის დამატება;
- 5.4. თბილისის მერიის განახლებულ პორტალზე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების განახლებული საშუალების საპილოტე რეჟიმში ამოქმედება და მისი საშუალებით ინფორმაციის განთავსება;
- 5.5. ღია მონაცემების პორტალის კონცეფციის მოდიფიკაცია და ტექნიკური დავალების მომზადება;
- 5.6. თბილისის მერიის ღია მონაცემთა პორტალის შექმნა და მისი საპილოტე რეჟიმში ამოქმედება
- 5.7. ღია მონაცემთა პორტალზე ინფორმაციის განთავსება;
- 5.8. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის მექანიზმის პილოტირება და ამოქმედება.

დაწყების თარიღი: დეკემბერი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

**შენიშვნა:**ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ:

[https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi Action-Plan 2018-2020.pdf](https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Tbilisi_Action-Plan_2018-2020.pdf)

ვალდებულების მიმოხილვა	შეფასებადობა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრულება	გახსნა ან მთავრობა?
------------------------	--------------	------------------------------------	-------------------	-----------	---------------------

	არ არის საკმარისად კონკრეტული, რომ შეფასდეს	საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს	ინფორმაციის ხელმძისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწესებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
5. თბილისის მერიაში გამჭვირვალობის ხარისხის განვითარება ელექტრონული მექანიზმების მეშვეობით		✓	✓		✓						ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს				ფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის ბოლოს				

### კონტექსტი და მიზნები

ეს ვალდებულება, რომელიც წინა სამოქმედო გეგმის მეოთხე ვალდებულების მსგავსია, არასამთავრობო ორგანიზაციამ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შეიმუშავა.<sup>1</sup> მისი მიზანია თბილისის მერიის გამჭვირვალობის გაზრდა.<sup>2</sup> მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2017 წლის ეროვნული შეფასების მიხედვით, თბილისის მერიის შეფასება 35% იყო, საშუალო შეფასება კი – 21%, რაც ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების, ელექტრონული მმართველობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობაზე მიუთითებს.<sup>3</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2015 წლის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 7%-ისთვის არის გასაგები ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა, ხოლო 25% ენდობა მას.<sup>4,5</sup> ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მერიის მიერ მისი პროაქტიულად გამოქვეყნების ნაკლებობა ახალისებს მერიისადმი მედიისა და მოსახლეობის უნდობლობას, აგრეთვე ართულებს მთავრობის მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასებას.<sup>6</sup>

საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების გლობალური შეფასების თანახმად, საქართველოს 150-დან 97 ქულა აქვს, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია და ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით ფასდება.<sup>7,8</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.“ (მუხლი 10, პუნქტი 1). მოქალაქეს შეუძლია თბილისის მერიას ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე ოფიციალური განცხადებით მიმართოს, რის შემდეგაც მერია ვალდებულია დააკმაყოფილოს მოქალაქის მოთხოვნა დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა (იხ.კოდექსი, მუხლი 40, პუნქტი 1). საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში მოქალაქეს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი (იხ.კოდექსი, მუხლი 41, პუნქტი 2). ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას მოქალაქეთა მიმართვების დაკმაყოფილების ვალდებულებისგან.

საქართველოში შეიქმნა ღია მონაცემების რამდენიმე პორტალი, რომლებზედაც მთავრობის ხელთ არსებული ინფორმაცია ქვეყნდება. მაგალითად, ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში მთავრობამ დაანერგა ღია მონაცემების პორტალი ([www.data.gov.ge](http://www.data.gov.ge)), თუმცა მუნიციპალიტეტები შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს ვებგვერდზე განსათავსებლად ხშირად დროულად არ აგზავნიან.<sup>9</sup> ამასთანავე, ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF) დააფინანსა ღია მონაცემების პორტალი ([www.opendata.ge](http://www.opendata.ge)), რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. IDFI მართავს ერთ-ერთ ასეთ პლატფორმას ([www.data lab.ge](http://www.data lab.ge)), რომელიც შეიცავს თვითმმართველი ერთეულების მონაცემთა ბაზებს, მათ შორის, ისეთ მონაცემებს, როგორცაა თბილისში ხეების გაჩეხვაზე გაცემული ნებართვებით მიღებული ფინანსური სარგებელი, გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობა, საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა ხელფასები და სხვა.

ვალდებულების მიზანია, შეიქმნას ახალი და გაუმჯობესებული ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ინფორმაციას უფრო მარტივად და სწრაფად გახდის ხელმისაწვდომს. ვალდებულებას აქვს 3 სამი ძირითადი კომპონენტი: 1) განახლება თბილისის მერიის პორტალი. ვებგვერდს დაემატება მერიისადმი დაქვემდებარებული ყველა სუბიექტის (გამგეობები) ჩამონათვალი, მათი საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა საბაზისო მონაცემები (ფუნქცია, ხელმძღვანელი, სამართლებრივი ფორმა და ა.შ.); 2) შემუშავდება საჯარო ინფორმაციის გვერდის ახალი ვერსია, რომელიც გაამარტივებს საჯარო ინფორმაციის მოძებნასა და ელექტრონულად გამოთხოვას; 3) შეიქმნება მერიის ღია მონაცემების გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სექტორის მონაცემების ღია, დამუშავებად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში გამოქვეყნებას. მონაცემები კატეგორიების მიხედვით დახარისხდება, რაც მათ უფრო იოლად აღსაქმელს გახდის. მსგავსი პროექტია ოსტინის პორტალი (<https://data.austintexas.gov>).<sup>10</sup>

ვალდებულება მოიცავს მისი შესრულებისთვის საჭირო კონკრეტულ, შეფასებად ღონისძიებებს, მათ შორის, პორტალების შექმნისთვის საჭირო ტექნიკური დავალებების შემუშავებას, თბილისის მერიის განახლებული ვებგვერდის გაშვებას, მერიის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის კონცეფციის ინტეგრირებას და ღია მონაცემების პორტალის საპილოტე რეჟიმში მუშაობას. თუმცა ზოგიერთი ღონისძიება ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მაგალითად, ვალდებულება არ განსაზღვრავს, როგორ მოხდება პროცესის ინსტიტუციონალიზაცია, დასჭირდება თუ არა პორტალების მართვას დამატებითი კადრი და სტანდარტული პროცედურებით განახლება თუ არა ისინი.

ამ ეტაპზე თბილისის მერიას არ აქვს შესაბამისი მოდული ღია მონაცემების გამოსაქვეყნებლად, რაც მოქალაქეებს სირთულეებს უქმნის, რადგან შესაძლებელია მათ არ იცოდნენ, ვის მიმართონ და სად მოძებნონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია. რთულია აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გვერდზე ნავიგაცია: ის მოქალაქეებს მონაცემებს ღია ფორმატში არ სთავაზობს. ამრიგად, მერიის ვებგვერდისა და საჯარო ინფორმაციის გვერდის განახლებამ და ღია მონაცემების პორტალის დაანერგვამ შეიძლება მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მოპოვება გაამარტივოს და დააჩქაროს. თუმცა ვალდებულების შედეგები დიდწილად და მოკვიდებული გამოქვეყნებული მონაცემების ბაზების რაოდენობასა და შინაარსზე, აგრეთვე მათი განახლების სიხშირეზე, რომლებსაც ვალდებულების ტექსტი არ განსაზღვრავს.<sup>11</sup> ამიტომ ვალდებულების პოტენციური შედეგი თბილისში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით ფასდება, როგორც „მცირე“.

ღია მონაცემების პორტალის დანერგვა მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით თბილისის მერიის პრაქტიკაში სიახლე იქნება. ეს მექანიზმი ქალაქის მცხოვრებლებს საშუალებას მისცემს, მიიღონ და გააანალიზონ მერიაში არსებული ინფორმაცია მისი პროექტების, მიღწევებისა და კონკრეტული სფეროების შესახებ. ამჟამად მოქალაქეთა მიერ წარდგენილი ინფორმაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის მერიის 2 თანამშრომელია პასუხისმგებელი.<sup>12</sup> საჯარო ინფორმაციის განახლებული გვერდი და ღია მონაცემების პორტალი კი ამ პროცესის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, შესაძლებელია შემცირდეს ოფიციალური მიმართვების რაოდენობა, გაიზარდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეებს საშუალება მიეცეთ, შეიტყონ მათი მოთხოვნების დამუშავების სტატუსი.

## შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულების შემდეგ სამოქმედო გეგმაში გადასვლის შემთხვევაში მისი პოტენციური შედეგის გასაზრდელად IRM-ის მკვლევარი წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

- როგორც სხვა შემთხვევებში აჩვენა, ახალი მექანიზმების დანერგვა მათი მდგრადი მუშაობის პროცესში ერთ-ერთი საწყისი ეტაპია იმისთვის, რომ მათ რეალური შედეგი გამოიღონ. ამ მექანიზმების ამუშავებამდე თბილისის მერიამ უნდა მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტები და სამუშაოების ტექნიკური აღწერილობა – როგორ მოხდება მერიაში აღნიშნული მექანიზმების მართვა დარეგულარული განახლება და როგორ განაწილდება პასუხისმგებლობები. აუცილებელია არსებობდეს მკაფიო ხედვა, თუ რა ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდებზე და რა სიხშირით განახლდება ისინი. მოსახლეობის მიერ ყველაზე ხშირად მოთხოვნილი ინფორმაციის ანალიზი კი ხელს შეუწყობს პორტალების ადეკვატურ მართვასა და ინსტიტუციონალიზაციას.
- ვალდებულების ხელშესაწყობად კარგი იქნება, ჩატარდეს საკომუნიკაციო კამპანიები, რადგან პორტალების დაბალმა ცნობადობამ შესაძლებელია შეამციროს მათი გამოყენება. კამპანიაში იგულისხმება სარეკლამო ვიდეორგოლების მომზადება, საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვა და გავრცელება, აგრეთვე IDFI-სთან და სამოქალაქო სექტორის სხვა შესაბამის წარმომადგენლებთან ერთად პრეზენტაციის მოწყობა. პროცესში თბილისის მერიაში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირების ჩართვა და ამ მიმართულების გააქტიურება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.

---

<sup>1</sup> OGP-ის გლობალური სამიტი საქართველოში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 23 ივლისი, 2018: [https://idfi.ge/en/ogp\\_fifth\\_global\\_summit\\_in\\_georgia](https://idfi.ge/en/ogp_fifth_global_summit_in_georgia)

<sup>2</sup> IDFI-ს რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის პირველ სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2018.

<sup>3</sup> საქართველოს მუნიციპალიტეტების ეროვნული შეფასება, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 6 დეკემბერი, 2017: [https://idfi.ge/en/national\\_assessment\\_of\\_georgian\\_municipalities](https://idfi.ge/en/national_assessment_of_georgian_municipalities)

<sup>4</sup> საჯარო პოლიტიკის კვლევა, 2015, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: <https://caucasusbarometer.org/ge/ti2015ge/TRLOCGVT/>

<sup>5</sup> IDFI-ს რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის პირველ სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2018.

<sup>6</sup> საქართველოს მუნიციპალიტეტების ეროვნული შეფასება, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 6 დეკემბერი, 2017: [https://idfi.ge/en/national\\_assessment\\_of\\_georgian\\_municipalities](https://idfi.ge/en/national_assessment_of_georgian_municipalities)

<sup>7</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=30> (ნანახია 2019 წლის 12 მარტს).

<sup>8</sup> ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების გლობალური შეფასება: <https://www.rti-rating.org/country-data/>

---

ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა:

[http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/\(OGP\)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx](http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/(OGP)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx)

<sup>10</sup><https://data.austintexas.gov>

<sup>11</sup>ვლადიმერ ხასია, თბილისის მერიის ღია მმართველობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 12 აპრილი, 2019.

<sup>12</sup> ხასია, 12 აპრილი, 2019.

## V. ზოგადი რეკომენდაციები

ამ თავის მიზანია შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესისა და ამჟამინდელი სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა. თავი იყოფა 2 ნაწილად: 1) IRM-ის ძირითადი რეკომენდაციები ქვეყანაში ან თვითმმართველ ერთეულში OGP-ის პროცესისა და სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად; 2) იმის შეფასება, თუ რამდენად გაითვალისწინა მთავრობამ IRM-ის წინა რეკომენდაციები.

### 5.1. IRM-ის რეკომენდაციები

#### 1. უზრუნველყოფილ იქნეს უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა და გაიზარდოს OGP-ის პროცესის მდგრადობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც რესპონდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, პოლიტიკურ დონის წესრიგში OGP-ის მიერ უფრო მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებაა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეა, IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, პროცესში ჩაერთოს აგრეთვე მერის მოადგილე, რომელიც სამუშაო ჯგუფის ზოგიერთ შეხვედრას დაესწრება. უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა არამარტო OGP-ის პროცესის ცნობადობა გაზრდის, არამედ ხელს შეუწყობს ვალდებულებების მდგრადობას.

ამჟამად OGP-ის პროცესს თბილისში კოორდინაციას უწევს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონტრაქტორი და არა თბილისის მერიის რომელიმე თანამშრომელი. OGP-ის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, ეს მოვალეობა შეითავსოს მერიის თანამშრომელმა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული დონორის დაფინანსებაზე. ამით შეიქმნება გარანტია, რომ, თუ დონორი შეწყვეტს აღნიშნული თანამდებობის დაფინანსებას, OGP-ის პროცესს ხელი არ შეეშლება.

#### 2. OGP-ის შესახებ მოსახლეობის უკეთ ინფორმირებისთვის დაიგეგმოს და განხორციელდეს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები

ეს რეკომენდაცია IRM-ის 2017 წლის ანგარიშიდან გადმოვიდა. ზოგადად, OGP-ის ცნობადობა დაბალია როგორც მოსახლეობაში, ისე იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც პროცესში ჩართული არ არიან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს OGP-ის საკომუნიკაციო კომპონენტი, კერძოდ, პრეზენტაციების ჩატარებით და გასავრცელებელი მასალების ბრენდირებით. კარგი იქნება, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირებიც ჩაერთონ.

#### 3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობა ფორმალიზებულ იქნეს, ამასთანავე, მასში ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებიც მანამდე OGP-ის პროცესში არ მონაწილეობდნენ

ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები იმართება საჭიროებისამებრ, რამაც შეიძლება სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და განხორციელების პროცესი შეანელოს. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, სამუშაო ჯგუფი 4 თვეში ერთხელ

მანც შეიკრიბოს. სისტემატური შეხვედრები შესაძლებელს გახდის საკითხების დროულ განხილვას და ხარვეზებზე რეაგირებას. ამასთანავე, თანამონაწილეობის ხელშესაწყობად მიზანშეწონილია, დაინტერესებულ პირებს მიეწოდოთ წერილობითი ახსნა-განმარტებები სამოქმედო გეგმისთვის მათ მიერ შეთავაზებული ვალდებულებებისა და სხვა წინადადებების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის წევრობისთვის უნდა გამოცხადდეს ღია კონკურსი დადეტალურად უნდა განისაზღვროს მის წევრად მიღების პირობები და პროცედურები. თბილისის მერიამ უნდა გაითვალისწინოს თემატური არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და ურბანული აქტივისტები, რომლებსაც შეიძლება OGP-ის პროცესში მონაწილეობა აინტერესებდეთ. ეს სამუშაო ჯგუფს უფრო წარმომადგენლობითსა და მრავალფეროვანს გახდის.

#### **4. სამომავლოდ, ვალდებულებების დროულად შესასრულებლად მკაფიოდ განისაზღვროს და განაწილდეს ამ ვალდებულებების ფარგლებში გათვალისწინებული პასუხისმგებლობები**

ის ვალდებულებები, რომლებიც ახალ სამოქმედო გეგმაში წინა სამოქმედო გეგმიდან გადავიდა, 2017 წლის გეგმაში მოიცავდა დეტალურ ინფორმაციას ვალდებულებების შიდა მენეჯმენტის შესახებ. წინა სამოქმედო გეგმაში აღწერილი იყო, როგორ მართავდნენ პროცესს თბილისის მერიის თანამშრომლები, ახალ სამოქმედო გეგმაში კი ეს ინფორმაცია მოცემული არ არის. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ აპირებს მერია მისაწოდებელი სერვისების მდგრადობის შენარჩუნებას. მნიშვნელოვანია ვალდებულებების განსაზღვრისასშედეგზე ორიენტირებული, სისტემური მიდგომა (მაგალითად, დეტალური მართვის გეგმა 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 ვალდებულებებისთვის). ამიტომ სამომავლოდ მიზანშეწონილია, ვალდებულებების ინსტიტუციონალიზაციისთვის სამოქმედო გეგმაში მართვის სქემაც იქნეს შეტანილი.

#### **5. გაიზარდოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და მასში, განსაკუთრებით კი – მნიშვნელოვან ურბანულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მოქალაქეთა ჩართულობა**

შემდეგი სამოქმედო გეგმის ფარგლებში უნდა გაგრძელდეს მუშაობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით. გასულ წლებში თბილისში საზოგადოების პროტესტი გამოიწვია მთავრობის მიერ ისეთი მშენებლობების ნებართვების გაცემამ, რომლებიც გავლენას მოახდენდა მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხზე. ამგვარად, საჭიროა პოლიტიკის დონეზე განხორციელდეს ცვლილება, რომელიც მთავრობას დაავალდებულებს, მოსახლეობა პროაქტიულად ჩართოს მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ვინაიდან „SMART MAP“-ის მიზანი ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაა, გამჭვირვალე და მონაწილეობითი პოლიტიკის დანერგვით შესაძლებელია მთავრობასა და მოსახლეობას შორის პროაქტიული კომუნიკაციის კიდევ უფრო ხელშეწყობა და განვითარება.

### **ცხრილი 5.1.5 ძირითადი რეკომენდაცია**

1	უზრუნველყოფილ იქნეს უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა და გაიზარდოს OGP-ის პროცესის მდგრადობა.
---	--

2	OGP-ის შესახებ მოსახლეობის უკეთ ინფორმირებისთვის დაიგეგმოს და განხორციელდეს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები.
3	სამუშაო ჯგუფის საქმიანობა ფორმალიზებულ იქნეს, ამასთანავე, მასში ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებიც მანამდე OGP-ის პროცესში არ მონაწილეობდნენ.
4	სამომავლოდ, ვალდებულებების დროულად შესასრულებლად მკაფიოდ განისაზღვროს და განაწილდეს ამ ვალდებულებების ფარგლებში გათვალისწინებული პასუხისმგებლობები.
5	გაიზარდოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და მასში, განსაკუთრებით კი – მნიშვნელოვან ურბანულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მოქალაქეთა ჩართულობა.

## 5.2. IRM-ის წინა რეკომენდაციების გათვალისწინება

### ცხრილი 5.2. IRM-ის წინა ძირითადი რეკომენდაციები

რეკომენდაცია	ინტეგრირებულ იქნა ამ სამოქმედო გეგმაში?
1 OGP-ის უწყვეტობის უზრუნველყოფა და ვალდებულებების ხელახლა აღება	✓
2 თანამონაწილეობითი პროცესის გაგრძელება და მასში მონაწილეთა უფრო ფართო და მრავალფეროვანი სპექტრის ჩართვა	✓
3 OGP-ისა და მის ფარგლებში შექმნილი ახალი მექანიზმების პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება	✓
4 მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ფინანსების ხარჯვის საჯარო მონიტორინგი	✓
5 OGP-ის გლობალურ სამიტზე არსებული შესაძლებლობების გამოყენება	✗

IRM-ის რეკომენდაციის გათვალისწინებით, თბილისის მერიამ განაგრძო OGP-ის პროცესში მონაწილეობა და, ვინაიდან 3 ვალდებულება წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში სრულად ვერ შესრულდა, ისინი ახალ სამოქმედო გეგმაში შეიტანა. როდესაც სამუშაო ჯგუფმა მეორე სამოქმედო გეგმა მიიღო და გადაწყვიტა, ძველი ვალდებულებები მის ფარგლებში გაეგრძელებინა, ამით ხაზი გაესვა იმ ინსტიტუციურ მეხსიერებასა და პასუხისმგებლობას, რომელიც OGP-სთან



დაკავშირებით არსებობს. თანამონაწილეობის ხელშესაწყობად, როგორც მეორე რეკომენდაციაში იყო აღნიშნული, სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარედ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი დაინიშნა, რამაც პროცესი უფრო მრავალფეროვანი გახადა და სამოქალაქო სექტორს მეტი აღიარება მოუტანა. ამასთანავე, სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემატიკაზე მომუშავე რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობაზე. ჩატარებულ საჯარო კონსულტაციებზე მოხდა პროექტის „შენი იდეა ქალაქის მერს“ შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, ამასთანავე, მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად გაიზარდა ამჟამინდელი სამოქმედო გეგმის რელევანტურობა.

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებები თბილისის მერიის ღია მმართველობის საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისი საკომუნიკაციო კამპანიების ჩატარებას ითვალისწინებს, ისინი ძირითადად ვიდეორგოლების შექმნითა და გავრცელებით შემოიფარგლება. ამიტომ შესაძლებელია ამ კომპონენტის გაძლიერება. სამოქმედო გეგმა შეიცავს აგრეთვე მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმის შექმნის ვალდებულებას. დაბოლოს, 2018 წლის ზაფხულში მერიამ OGP-ის გლობალურ სამიტს უმასპინძლა, თუმცა ფორმატის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს სამომავლო პარტნიორობის შესახებ კონკრეტული შეთანხმება არ მოჰყოლია.

## VI. მეთოდოლოგია და წყაროები

OGP-ის მონაწილე ყველა ქვეყნისთვის ან თვითმმართველი ერთეულისთვის IRM-ის ანგარიშებს მკვლევრები წერენ. შეფასების უმაღლესი სტანდარტის უზრუნველსაყოფად თითოეული ანგარიში ხარისხის გულმოდგინე კონტროლს გადის.

OGP-ის სამოქმედო გეგმის პროგრესის შესაფასებლად კომბინირებულად გამოიყენება ინტერვიუები, სამაგიდო კვლევა, დაკვირვება და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა უკუკავშირი. IRM-ის ანგარიში ეყრდნობა ადგილობრივი OGP-ის ვებგვერდზე<sup>1</sup> არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე თვითშეფასების ანგარიშებს და სამოქალაქო სექტორის, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ კვლევებს<sup>2</sup>. ანგარიშების პირველ ეტაპზე IRM შესაბამის მთავრობას კვლევის გეგმასუზიარებს. მასზე კომენტარების წარსადგენად მთავრობას 7 დღის ვადა ეძლევა.

IRM-ის ყველა მკვლევარი მოვლენების უშეცდომოდ გადმოსაცემად დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუებს ატარებს. დროისა და ფინანსური შეზღუდვების გამო IRM-ს არ შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირთან ინტერვიუს ჩატარება ან შესაბამისი ადგილების მონახულება. კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს რესპონდენტების ანონიმურობის დაცვა. ამ შემთხვევაში IRM იტოვებს უფლებას, არ გათქვას მათი ვინაობა. მეთოდოლოგიის შეზღუდვების გამო IRM მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, ანგარიშის შესახებ თავისი კომენტარები შეფასების წინასწარი გამოქვეყნების პერიოდში წარმოადგინოს.

ხარისხის კონტროლისთვის ანგარიშს IRM-ის გუნდის წევრები და IRM-ის საერთაშორისო ექსპერტთა პანელი (IEP) ამოწმებენ. თითოეული ანგარიში შესაბამისი მთავრობებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ეგზავნებათ. მათ შეუძლიათ თავიანთი კომენტარები წარმოადგინონ.

ანგარიშის განხილვის პროცესი, მათ შორის, ის, თუ როგორ აისახება მასში მიღებული კომენტარები, დეტალურად არის წარმოდგენილი IRM-ის პროცედურული სახელმძღვანელოს მესამე განყოფილებაში<sup>3</sup>.

### ინტერვიუები და მონაწილე მხარეთა კომენტარები

IRM-ის მკვლევარმა 11 ნაწილობრივ სტრუქტურირებული, სიღრმისეული ინტერვიუ ჩაატარა. რესპონდენტები იყვნენ სამუშაო ჯგუფის წევრები, აგრეთვე 2 ურბანული აქტივისტი, რომლებიც მისი წევრები არ არიან. სამუშაო ჯგუფის წევრ რესპონდენტებს შორის იყვნენ თბილისის მერიისა და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების თანამშრომლები, რომლებიც ცალკეული ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობენ, აგრეთვე პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ინტერვიუები 2019 წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა. ამ ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა მიდგომა და გამოცდილება სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და ცალკეულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

2019 წლის 28 მარტს თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის მუხიანის საუბნო განყოფილებაში IRM-ის მკვლევარმა OGP-ის საკონტაქტო პირის დახმარებით

ფოკუს ჯგუფს გაუწია ორგანიზება. მასში მონაწილეობა სულ 9 ადამიანმა მიიღო. ისინი იმის საფუძველზე შეირჩნენ, რომ 2018 წლის ზაფხულში OGP-ის სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვებში მონაწილეობდნენ. ფოკუს ჯგუფის მიზანი იყო მოქალაქეთა პრიორიტეტების, OGP-ის შესახებ ცოდნის და თბილისის მერიისადმი დამოკიდებულების უკეთ გაგება.

მრავალმხრივი ფორუმის საქმიანობის უკეთ გასაცნობად IRM-ის მკვლევარი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას დაესწრო. განსახილველ საკითხებს შორის იყო სამოქმედო გეგმის წინსვლა და თვითშეფასებისა და მონიტორინგის ჩარჩოები. შეხვედრა 2019 წლის 29 მარტს თბილისის მერიაში გაიმართა.

### **დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის შესახებ**

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) არის ძირითადი საშუალება, რომლის გამოყენებითაც დაინტერესებული მხარეები ქვეყანაში ან ერთეულში OGP-ის პროგრესს ადევნებენ თვალს. საერთაშორისო ექსპერტთა პანელის (IEP) ძირითადი საქმიანობაა თითოეული ანგარიშის ხარისხის მონიტორინგი. პანელის წევრი ექსპერტები საქმიანობენ ისეთ სფეროებში, როგორცაა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეობა და სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები.

საერთაშორისო ექსპერტთა პანელი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- ცეზარ კრუზ-რუბიო
- მერი ფრანკოლი
- ბრენდან ჰელორანი
- ჯეფ ლოვიტი
- ფრედლინ მაკორმაკ-ჰეილი
- შაუერზ მაუოუა
- ხუანიტა ოლაია
- ქვენტინ რიდი
- რიკ სნელი
- ჟან-პატრიკ ვილენევი.

IRM-ის გუნდი ამ ანგარიშს ვაშინგტონში (აშშ) მკვლევრებთან მჭიდრო თანამშრომლობით ადგენს. ანგარიშთან დაკავშირებული კითხვების ან კომენტარების შემთხვევაში დაუკავშირდით IRM-ს: [irm@opengovpartnership.org](mailto:irm@opengovpartnership.org).

---

<sup>1</sup> იხილეთ თბილისის OGP-ის ვებგვერდი: <http://ogp.tbilisi.gov.ge>

<sup>2</sup> იხილეთ თბილისის OGP-ის ვებგვერდი: <http://ogp.tbilisi.gov.ge>

<sup>3</sup> IRM-ის პროცედურული სახელმძღვანელო, OGP: <https://www.opengovpartnership.org/documents/irm-procedures-manual>

## დანართი I. თბილისის საქმიანობის შეფასება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში

შეფასებები:

მწვანე=სტანდარტს აკმაყოფილებს.

ყვითელი=პროცესი მიმდინარეობს (სტანდარტის მისაღწევად ნაბიჯები გადადგმულია, მაგრამ სტანდარტი ჯერ არ მიღწეულა).

წითელი=აქტივობის მტკიცებულება არ არსებობს.

მრავალმხრივი ფორუმი	
1ა. ფორუმის შექმნა: არსებობს OGP-ის პროცესის საზედამხედველო ორგანო.	მწვანე
1ბ. სიხშირე: ფორუმი იკრიბება 4 თვეში ერთხელ მაინც, პირისპირ ან დისტანციურად.	ყვითელი
1გ. მანდატის ერთობლივი შემუშავება: ფორუმის წევრები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს მისი წევრობისა და მართვის შესახებ.	მწვანე
1დ. მანდატის საჯაროობა: ფორუმის საქმიანობის, წევრობისა და მართვის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია OGP-ის ვებგვერდზე.	მწვანე
2ა. მრავალმხრივი მონაწილეობა: ფორუმის წევრები არიან როგორც მთავრობის, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.	მწვანე
2ბ. ბალანსი: ფორუმში მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები თანაბრად არიან წარმოდგენილი.	მწვანე
2გ. ფორუმის წევრობის გამჭვირვალე პროცესი: სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი წევრები გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესის შედეგად შეირჩევიან.	მწვანე
2დ. მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა: ფორუმში მონაწილეობენ მთავრობის წარმომადგენელი, მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღები პირები.	ყვითელი
3ა. ღიაობა: ფორუმი კომენტარებს სამოქალაქო სექტორის ნებისმიერი წარმომადგენლისგან იღებს და მათ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.	მწვანე
3ბ. დისტანციური მონაწილეობა: დისტანციურად მონაწილეობა შესაძლებელია ფორუმის ზოგიერთ დონისძიებაში.	მწვანე

<p>3გ. ოქმები: ფორუმი პროაქტიულად აქვეყნებს თავისი სამუშაოს შესახებ ანგარიშებს და მათ მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აწვდის.</p>	<p>მწვანე</p>
---	---------------

შეფასებები:  
 მწვანე=სტანდარტს აკმაყოფილებს.  
 ყვითელი=პროცესი მიმდინარეობს (სტანდარტის მისაღწევად ნაბიჯები გადადგმულია, მაგრამ სტანდარტი ჯერ არ მიღწეულა).  
 წითელი=აქტივობის მტკიცებულება არ არსებობს.

სამოქმედო გეგმის შემუშავება	
<p>4ა. პროცესის გამჭვირვალობა: არსებობს OGP-ის ვებგვერდი (ან გვერდი, რომელიც ინტეგრირებულია მთავრობის ვებგვერდზე), რომელზედაც პროაქტიულად ქვეყნდება OGP-ის პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.</p>	<p>მწვანე</p>
<p>4ბ. დოკუმენტების წინასწარ გაზიარება: ფორუმი დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ უგზავნის შესაბამის ინფორმაციას, რათა მათ შეძლონ მომზადება და OGP-ის ყველა პროცესში მონაწილეობა.</p>	<p>მწვანე</p>
<p>4გ. ცნობიერების ამაღლება: ფორუმი ატარებს საკომუნიკაციო და ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს, რათა დაინტერესებული პირები OGP-ის შესახებ ინფორმირებული იყვნენ.</p>	<p>მწვანე</p>
<p>4დ. საკომუნიკაციო არხები: მთავრობა უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან პირდაპირ კომუნიკაციას და უპასუხებს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ შეკითხვებს, განსაკუთრებით – OGP-ის აქტიურ ფაზაში ყოფნისას.</p>	<p>მწვანე</p>
<p>4ე. დასაბუთებული უკუკავშირი: ფორუმი აქვეყნებს დასაბუთებულ პასუხებს თავისი გადაწყვეტილებების შესახებ და პასუხს სცემს საჯარო კომენტარების უმეტეს ნაწილს.</p>	<p>ყვითელი</p>
<p>5ა. ინფორმაციის არქივი: მთავრობა თავს უყრის და აქვეყნებს დოკუმენტებს OGP-ის ადგილობრივ ან ეროვნულ ვებგვერდზე, რომელიც არის OGP-სთან დაკავშირებული დოკუმენტების არქივი, სადაც ინახება ისეთი ინფორმაცია, როგორცაა მონაცემები საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ, სამოქმედო გეგმები, მთავრობების თვითშეფასებები, IRM-ის ანგარიშები და ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (ოქმები, მონაცემთა ბაზების ბმულები, სხვადასხვა პუბლიკაცია და ა.შ.).</p>	<p>მწვანე</p>

*შენიშვნა:* თუ ქვეყანა ან თვითმმართველი ერთეული შეასრულებს 6 გამუქებულ სტანდარტს, IRM ქვეყნის პროცესს შეაფასებს, როგორც „ვარსკვლავურ პროცესს“.